

ISSN 1512-3715



№ 24



**პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ**

ქუთაისი – KUTAISI - КУТАИСИ

2019

დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების ჟურნალი

ЖУРНАЛ НАУЧНОГО ОБЩЕСТВА ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ

JURNAL OF SCIENTIFIC SOCIETY OF THE WESTERN GEORGIA

სარედაქციო კოლეგია:

ხელაძე ნინო (მთავარი რედაქტორი), ადამიანი ვანიძე - (სომხეთი), აბასოვი ირვადი - (აზერბაიჯანი), ბეზბოროდოვი ალექსი - (აშშ), ბიომი სტეფანი - (გერმანია), დილგერი კლაუსი - (გერმანია), ენუქიშვილი (ენუხი) რუბენი - (ისრაელი), მიხეილ ბენ ხაიმი - (ისრაელი), მამადოვი ელვადი - (აზერბაიჯანი), მამიკონიანი ბორისი - (სომხეთი), სტენკამპი ანეტა - (აშშ), ოლეგ ვოდინოვი - (უკრაინა), ქირია დოდო (მდივანი), გელაშვილი ოთარი, ზივზივადე ომარი, კოპალიანი ნოშრეზანი, მებრელიძე თამაზი, მელქაძე რეზანი, ნატრიაშვილი თამაზი, ნიკოლეიშვილი ავთანდილი, გეგუჩაძე ციური, გორგოძე ბიზო, რუხაძე ვახტანგი, გეჯაძე მირანდა, ჯაფარიძე ზურაბი, კილაძე ნანა.

EDITORIAL BOARD:

N. KHELADZE – (Editor-in-Chief), **V. ADAMIAN** – (Armenia), **I. ABBASOV** – (Azerbaijan), **A. BEZBORODOV** – (USA), **S. BHÖM** – (Germany), **K. DILGER** – (Germany), **R. ENUKHISHVILI (ENUKHI)** – (Izrail), **MICHAEL BEN CHAIM** – (Izrail), **E. MAMMADOV** – (Azerbaijan), **B. MAMIKONIAN** – (Armenia), **A. STEENKAMP** – (USA), **O. VODIANOY** – (Ukraine), **D. KIRIA** – (secretary), **O. GELASHVILI**, **O. ZIVZIVADZE**, **N. KOPALIANI**, **T. MEGRELIDZE**, **R. MELKADZE**, **T. NATRIASHVILI**, **A. NIKOLEISHVILI**, **TC. GEGUCHADZE**, **G. GORGODZE**, **V. RUKHADZE**, **M. GETSADZE**, **Z. JAPARIDZE**, **N. KILADZE**.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Н. ХЕЛАДЗЕ – (главный редактор), **В. АДАМЯН** – (Армения), **И. АББАСОВ** – (Азербайджан), **А. БЕЗБОРОДОВ** – (США), **С. БИОМ** – (Германия), **К. ДИЛГЕР** – (Германия), **Р. ЕНУКИШВИЛИ (ЕНУХИ)** – (Израиль), **МИХАИЛ БЕН ХАИМ** – (Израиль), **Е. МАММАДОВ** – (Азербайджан), **Б. МАМИКОНЯН** – (Армения), **А. СТЕНКАМП** – (США), **О. ВОДЯНОЙ** – (Украина), **Д. КИРИЯ** (секретарь), **О. ГЕЛАШВИЛИ**, **О. ЗИВЗИВАДЗЕ**, **Н. КОПАЛИАНИ**, **Т. МЕГРЕЛИДЗЕ**, **Т. АТРИАШВИЛИ**, **А. НИКОЛЕИШВИЛИ**, **Ц. ГЕГУЧАДЗЕ**, **Г. ГОРГОДЗУ**, **В. РУХАДЗЕ**, **М. ГЕЦАДЗЕ**, **З. ДЖАПАРИДЗЕ**, **Н. КИЛАДЗЕ**.

ჟურნალი “ნოვაცია” ბეჭდავს ახალ, აქამდე გამოუქვეყნებელი საინტერესო მეცნიერული კვლევის შედეგებს საინჟინრო, ბიოლოგიური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროში.

ჟურნალის მიზანია მეცნიერთა ფართო წრისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ახალი სამეცნიერო მიღწევები და ხელი შეუწყოს ავტორთა სამეცნიერო კავშირების დამყარებას ქართველ და უცხოელ კოლეგებთან.

სარედაქციო კოლეგია ყურადღებით მიიღებს მკითხველთა ყველა კონკრეტულ შენიშვნასა და საქმიან წინადადებას.

რედაქცია

Журнал «Новация» печатает результаты новых, неопубликованных до этого интересных научных исследований в инженерных, биологических, естественных и гуманитарных областях наук.

Целью журнала является содействие в доступности новых научных достижений и установление научных связей авторов их грузинскими и зарубежными коллегами.

Редакционная коллегия внимательно примет все конструктивные замечания и деловые предложения читателей.

Редколлегия

Magazine "Novation" prints results new, unpublished before interesting scientific research in engineering, biological, natural and humanitarian areas of sciences.

The purpose of magazine is assistance in availability of new scientific achievements and an establishment of scientific communications of authors their Georgian and foreign colleagues.

The editorial board will closely accept all constructive remarks and business offers of readers.

Editorial board

ს ა რ ჩ ე ზ ო

- 1 რ. ჭაბუკიანი, ა. გეგუჩაძე, ბ. ზივზივაძე, ზ. გეგუჩაძე, ა. ყუფარაძე. დასერილდერძიანი კონუსურტურბინიანი ქარგენერატორის სამუშაო რეჟიმების სტაბილიზაცია 7
- 2 ზ. ახალაძე. რძისა და რძის პროდუქტების წარმოების თანამედროვე ტენდენციები საქართველოში 14
- 3 ნ. კილაძე. ქიმიური ტოქსიკანტები და კვების როდდუქტები 19
- 4 რ. ფახურიძე, ნ. ბლიაძე. ბუნების ძეგლების ვიზიტორთა დინამიკა იმერეთში (2000-2019 წლებში) 23
- 5 ლ. გობეჯიშვილი. ნავთობითა და ნავთობპროდუქტებით ნიადაგის დაბინძურების ნეგატიური ზეგავლენა ნიადაგის თვისობრივ მახასიათებლებზე 29
- 6 ლ. გობეჯიშვილი. ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ზემოქმედება წყალსატევებზე 33
- 7 ნ. ცუცქერიძე. კალიუმალუმნის სულფატის შემცველი რბილი სამკურნალწამლო ფორმის ტექნოლოგიის შემუშავება 37
- 8 ნ. ცუცქერიძე. ბალბა (*Malva sylvestris*)-ის ქიმიური შედგენილობის შესწავლა 41
- 9 ნ. კამკამიძე. მდინარე ჩხერიმელაში ჩამდინარე წყლების ბუნებრივი ჭარბტენიანი ეკოსისტემებით გაწმენდა 45
- 10 ნ. კამკამიძე. ჩამდინარე წყლების დამუშავების მეთოდები 49
- 11 ე. გამყრელიძე. მძიმე მეტალები და ადამიანის ორგანიზმი 53
- 12 თ. ნადირაძე-გოგოლაძე-ლიზინგი - სამეწარმეო საქმიანობის ტექნიკური ხელშეწყობის გზა 58
- 13 გ. გორგოძე. სატაცურის სასარგებლო თვისებები 62
- 14 ვ. რუხაძე. გათეთრებული ბარიტის მიღება პირიტის შემცველი ბარიტული კონცენტრატიდან 66
- 15 ნ. ხელაძე, ა. გეწაძე. შევსებული პოლისტიროლური კომპოზიციების ხანგამძლეობა და ფიზიკო-მექანიკური თვისებები 72
- 16 ნ. ხელაძე, ც. გეგუჩაძე, დ. ქირია. ფიზიკურ-ქიმიური პროცესები სისტემაში პოლიოლეფინი-შემავსებელი 83

СОДЕРЖАНИЕ

1	Р. Чабукиани, А. Гегучадзе, Б. Зивзивадзе, З. Гегучадзе, А. Купарадзе. Стабилизация рабочих режимов ветрогенератора с конической турбиной и наклонной осью	7
2	З. Ахаладзе. Современные тенденции производства молока и молочных продуктов в Грузии	14
3	Н. Киладзе. Химические токсиканты и пищевые продукты	19
4	Р. Пахуридзе, Н. Блиадзе. Динамика посетителей памятников природы в Имерети (2000-2019)	23
5	Л. Гобеджишвили. Негативное воздействие нефти и нефтепродуктов на качественные характеристики почвы	29
6	Л. Гобеджишвили. Воздействие нефти и нефтепродуктов на водную среду	33
7	Н. Цуцкиридзе. Разработка технологии мягкой формы фармацевтический препарат, содержащий сульфат алюминия-калия	37
8	Н. Цуцкиридзе. Изучение химического состава балвы (<i>Malva sylvestris</i>)	41
9	Н. Какаmidзе. Очистка сточных вод в реке Чхеримела природными водно-болотными экосистемами	45
10	Н. Камкаmidзе. Методы очистки промышленных сточных вод	49
11	Е. Гамкрелидзе. Тяжелые металлы и организм человека	53
12	Т. Надирадзе-Гоголадзе. Лизинг - способ технического обеспечения предпринимательской деятельности	58
13	Г. Гргодзе. Полезные свойства спаржи	62
14	В. Рухадзе. Получение отбеленного барита из пиритсодержащих баритовых концентратов	66
15	Н. Хеладзе, А. Гецадзе. Физико-механические свойства и долговечность наполненных полистирольных композиций	72
16	Н. Хеладзе, Ц. Гегучадзе, Д. Кирия. Физико-химические процессы в системе полиолефин-наполнитель	83

C O N T E N T S

1	R. Chabukiani, A. Geguchadze, B. Zivzivadze, Z. Geguchadze, A. Kuparadze. Stabilization of operational modes of wind-powered generator with a conical turbine and a tilted axis	7
2	Z. Akhaladze. Current trends in the production of milk and Dairy products in georgia	14
3	N. Kiladze. Noxicants in foods	19
4	R. Pakhuridze. N. Bliadze. Dynamics of visitors to nature monuments in imereti (2000-2019)	23
5	L. Gobejishvili. Negative impact of oil and oil products on soil quality characteristics	29
6	L. Gobejishvili. Exposure to oil and oil products to aquatic environment	33
7	N. Tsutskiridze. Development of soft form technology pharmaceutical preparation containing aluminium-potassium sulfate	37
8	N. Tsutskiridze. Study of the chemical composition of balva (Malva Sylvestrist)	41
9	N. Kakamidze. Purification of wastewater in the chkherimela river by natural wetland ecosystems	45
10	N. Kakamidze. Industrial wastewater treatment methods	49
11	E. Gamkrelidze. Heavy metals and the human body	53
12	T. Nadiradze-Gogoladze. Leasing - way of technical support, for entrepreneurial activities	58
13	G. Grgodze. Useful properties of asparagus	62
14	V. Rukhadze. Preparation of bleached barite from pyrite-containing barite concentrates	66
15	N. Kheladze, A. Getsadze. Physical and mechanical properties and durability of filled polystyrene compositions	72
16	N. Kheladze, Ts.Geguchadze, D. Kiria. Physical-chemical processes in polyolefin-filler system	83

საინჟინრო საქმე და ტექნოლოგიები

**დახრილდერძიანი კონუსურტურბინიანი ქარგენერატორის სამუშაო რეჟიმების
სტაბილიზაცია**

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი AR-18-2653]

**რანი ჭაბუკიანი, არჩილ ბებუჩაძე, ბადრი ზივზივაძე,
ზაალ ბებუჩაძე, ანზორი ყუზარაძე**

სსიპ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების,
კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი „ბიზნეს-
ინკუბატორი“

*სტატიაში მოცემულია ფართოდ გავრცელებული პორიზონტალურ და
ვერტიკალურ ღერძიან ტურბინებიანი ქარგენერატორებისაგან რიგი
კონსტრუქციული თავისებურებებით განსხვავებული დახრილდერძიანი
კონუსურტურბინიანი ქარგენერატორის თვითბრუნვის ენერჯის მინიმიზაციის
მიზნით მბრუნავი მასების დაყვანილი ინერციის მომენტთან ცვალებადი სამუშაო
რეჟიმების უთანაბრობის კოეფიციენტის დამოკიდებულების თეორიული კვლევის
შედეგები.*


არატრადიციული ენერჯის წყაროების გამოყენების დროს (ქარი და მზე)
აუცილებელია ტექნიკური საშუალებები კონსტრუქციულად ისე დაიხვეწოს, რომ
მათ მინიმალური ენერჯია დახარჯონ ტექნოლოგიური ოპერაციის
შესასრულებლად ქარგენერატორებისაგან ელექტროენერჯის მისაღებად [1, 2].
მაქსიმალური ელექტროენერჯის მიღება შეიძლება იმ შემთხვევაში თუ
ქარგენერატორის თვითბრუნვაზე დაიხარჯება მინიმალური ენერჯია. ყველაფერი ეს
მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სამუშაო რეჟიმების ცვალებადობის
უთანაბრობის კოეფიციენტ -ზე. თუ ენერჯის წყაროს სამუშაო რეჟიმების
ცვალებადობის კოეფიციენტი $\delta > 2(k-1)$, სადაც k - ენერჯის წყაროს ე.წ. შეგუების
კოეფიციენტია ($k = M_{max}/M_{nom} > 1$, სადაც M_{max} და M_{nom} - მაქსიმალური და
ნომინალური მგრესავი მომენტებია), მაშინ ენერჯის წყაროს მიერ განვითარებული
მაქსიმალური მბრუნვი მომენტი $M_{max} = M_{nom}[(1 - 0,5\delta)^{-1}]$.

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს ქარგენერატორის მექანიკური
მახასიათებლის M -სა და მისი ცვალებადობის უთანაბრობის კოეფიციენტის
 δ - დამოკიდებულების თეორიული ანალიზი I - ინერციის მომენტების
გათვალისწინებით. ქარგენერატორის ღერძის გარშემო მბრუნავი მასების ინერციის
მომენტი იანგარიშება $I = I_0 + mr^2$ (I_0 - ქარგენერატორის სიმძიმის ცენტრის გარშემო
მბრუნავი მასების ინერციის მომენტი, r - ბრუნვის რადიუსი), ხოლო მბრუნავი

მასების კინეტიკური ენერჯია $T = \frac{I\omega^2}{2}$.

დახრილდერძიანი კონუსურ-ტურბინიანი ქარძრავას კინეტიკური სქემა გაერცვლებულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ დერძიანი ქარძრავებისაგან განსხვავდება რიგი კონსტრუქციული თავისებურებებით, როგორებიცაა: დახრილი დერძი, ტურბინის ფრთების მორგეში ჩამაგრება სახსრებით (ქარის დაწოლისადმი დამყოლობის გაზრდა), ფრთების ორიგინალური განლაგებით (ბრუნვისას შემოწერენ კონუსურ ზედაპირს) ელექტროგენერატორისა და საერთოდ სიმძიმის ცენტრის დაბლა ჩამოტანა, გარდა ჰორიზონტალურისა ვერტიკალურ სიბრტყეშიც მოძრავი — თვითმფრინავის კუდის ფრთასხმულობის მსგავსი ფლუგერი, რომლის საშუალებითაც წარმოებს ფრთების ოპტიმალური მიმართვა ქარისადმი, რაც მაღალი დამყოლობით იძლევა კონსტრუქციაში არსებული ვიბრაციებისა და ხმაურის შემცირების შესაძლებლობას, რასაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დემფირების მაღალი ხარისხი.

ქარის ძალით ტურბინის ფრთებზე წარმოქმნილი მაბრუნე მომენტი გადაეცემა დახრილ დერძს, რათა დაძლიოს გენერატორის ხვიათა ინდუქციური წინააღმდეგობის მომენტი, რაც არის მექანიკური ენერჯის ელექტრულად გარდაქმნის საფუძველი. ცნობილია, რომ მაბრუნე მომენტის მრუდის პიკური მონაკვეთის შემცირება შესაძლებელია ფრთების შეტევის კუთხის ოპტიმიზაციით, რაც მოცემულ შემთხვევაში მიიღწევა მორგეში მათი სახსრული დამაგრებითა და ცოციებით - ფრთების ფიქსირებით სასურველ მდგომარეობაში, ხოლო დატვირთვებისას ცოციებზე დამყოლობის მინიჭებით ზამბარების მეშვეობით. ამრიგად, სტაბილიზაციის მიზანია ქარის ძალის მაქსიმალური რეალიზაცია მაბრუნე მომენტის მისაღებად.



ნახ. 1. ქარძრავას საანგარიშო დინამიკური სისტემის კინემატიკური სქემა.

ქარგენერატორის მოძრაობაში მოსაყვანად საჭიროა ვიცოდეთ მისი მექანიკური ნაწილის ტურბინისა და სტაბილიზატორის ერთიანი მექანიკური მახასიათებელი. ქარის ძალით ტურბინის ფრთებზე წარმოქმნილი მაბრუნე

მომენტი $M_{wg}=f(\omega)$ გადალახავს რა დახრილი ღერძის შემობრუნების წინააღმდეგობას გარდაიქმნება გენერატორის ღუზის ბრუნვით მოძრაობად. ასეთ შემთხვევაში გენერატორის მექანიკური მახასიათებელი შეიძლება აპროქსიმირებული იქნას წრფის განტოლებით [3]:

$$M_{wg} = A + B\omega \dots \quad (1)$$

სადაც, A და B კოეფიციენტები განისაზღვრებიან მექანიკური მახასიათებლის მრუდებიდან. ეს კოეფიციენტი ზოგადად შეიძლება განისაზღვროს ლაგრანჟის მეორე რიგის განტოლებიდან, რომელიც გარკვეული გარდაქმნების შემდეგ [3] დებულობს ცნობილ სახეს

$$\frac{d\omega}{d\varphi} + f(\varphi)\omega + \frac{q(\varphi)}{\omega} = 0 \quad (2)$$

სადაც,

$$f(\varphi) = \frac{0,5 \frac{dI(\varphi)}{d\varphi} + B}{I(\varphi)} \quad (3)$$

$$q(\varphi) = \frac{M_{nom}(\varphi) - A}{I(\varphi)} \quad (4)$$

თუ შემოვიღებთ აღნიშვნას $\omega^2 = u$, მაშნ განტოლება (2) გარდაიქმნება შემდეგი სახით

$$\frac{d\omega}{d\varphi} + 2f(\varphi)u = -2q(\varphi) \quad (5)$$

რომლის ამოხსნის შემდეგ ვღებულობთ

$$\omega(\varphi) = \sqrt{\exp\left[2\int_0^\varphi d\varphi\right] \left\{ c - 2\int_0^\varphi q(\varphi) \exp\left[2\int_0^\varphi f(\varphi) d\varphi\right] d\varphi \right\}} \quad (6)$$

ქარგენერატორის კუთხურ აჩქარებას $\varepsilon(\varphi)$ ვიპოვით გამოსახულებიდან

$$\varepsilon(\varphi) = \frac{d(\omega)}{d(\varphi)} = \omega(\varphi) \frac{d\omega(\varphi)}{d\varphi} \quad (7)$$

ან თუ გამოვიყენებთ (6) ფორმულას, მივიღებთ

$$\varepsilon(\varphi) = -\left\{ f(\varphi) \exp\left[2\int_0^\varphi f(\varphi) d\varphi\right] \cdot \left[c - 2\int_0^\varphi f(\varphi) d\varphi \cdot q(\varphi) \right] \right\} \quad (8)$$

(3) და (4) განტოლებების გამოყენებით გვაქვს

$$\left. \begin{aligned} f(\varphi) &= B / I \\ q(\varphi) &= \frac{M_{nom}(\varphi) - A}{I} \end{aligned} \right\} \quad (9)$$

განვიხილოთ შემთხვევა, როცა ქარგენერატორის ლილვის წინააღმდეგობის მომენტი მუდმივია $M_{w(\varphi)} = M_c = \text{const.}$ თუ საწყისი პირობები იქნება $t = 0, \omega = \omega_0$, მაშინ კუთხური სიჩქარე ფორმულიდან (6) გარდაიქმნება შემდეგი სახით

$$\omega(\varphi) = e^{\frac{B(\varphi)}{I}} \left\{ \omega^2 - \frac{2M_{nom} - A}{I} \int_0^\varphi e^{\frac{B(\varphi)}{I}} d(\varphi) \right\} \quad (10)$$

საიდანაც

$$\omega(\varphi) = e^{\frac{B(\varphi)}{I}} \left\{ \omega^2 - \frac{2M_{nom} - A}{B} (e^{\frac{B(\varphi)}{I}} d(\varphi) - 1) \right\} \quad (11)$$

ან

$$\omega(\varphi) = \omega_0^2 e^{\frac{2B\varphi}{I}} - \frac{M_{nom} - A}{B} (1 - e^{\frac{2B\varphi}{I}}) \quad (12)$$

რადგან თეორიულად საჭირო მოძრაობის დამყარება ხდება, როცა $\varphi \rightarrow \infty$, მაშინ მისი კუთხური სიხარე განისაზღვრება მარტივად

$$\omega = \sqrt{\frac{A - M_r}{B}} \quad (13)$$

მაგრამ წინააღმდეგობის მომენტს $M_r(\varphi)$ აქვს შედარებით რთული სახე და შეიძლება წარმოვადგინოთ პერიოდული ფუნქციით φ კუთხესთან მიმართებაში. მაშინ შესაძლებელია $M_w(\varphi)$ დაიშალოს ფურიეს მწკრივში

$$M_r(\varphi) = \frac{q}{2} + \sum_{n=1}^m (Q_n \cos n\varphi + b_n \sin n\varphi) \quad (14)$$

მუდმივები a_0, a_n და b_n ($n = 1, 2, 3, \dots, m$) განისაზღვრება ფორმულით, ჰარმონიული ანალიზისაგან, ანუ

$$\begin{aligned} a_0 &= \frac{1}{T} \int_0^T M_r(\varphi) d\varphi \\ a_n &= \frac{2}{T} \int_0^T M_r(\varphi) \cos n\varphi d\varphi \\ b_n &= \frac{2}{T} \int_0^T M_r(\varphi) \sin n\varphi d\varphi \end{aligned} \quad (15)$$

აქ, T - ბრუნვის პერიოდია - $T = 2\pi/\omega$, მაშინ ფორმულა (4) მიიღებს სახეს

$$q(\varphi) = \frac{1}{I} \left[\frac{a_0}{2} - A + \sum_{n=1}^m (a_n \cos n\varphi + b_n \sin n\varphi) \right] \quad (16)$$

საწყისი პირობებია $t = 0$ და $\omega = U_0$, მაშინ ფორმულა (6)-ის ზოგადი ამონახსნი მიიღებს სახეს

$$\omega(\varphi) = \sqrt{e^{\frac{-2B\varphi}{I}} \left\{ \omega_0^2 - \frac{2}{I} \int_0^\varphi \left[\frac{a_n}{2} - A + \sum_{n=1}^m (a_n \cos n\varphi + b_n \sin n\varphi) \right] e^{\frac{-2B\varphi}{I}} d\varphi \right\}} \quad (17)$$

ეს უკანასკნელი განტოლება ამოხსნადია ზოგიერთი გარდაქმნის შემდეგ, როცა $\lim_{\varphi \rightarrow \infty} e^{-\frac{2b\varphi}{I}} = 0$, მისგან მივიღებთ

$$\omega(\varphi) = \sqrt{\frac{2A - a_o}{2B} - \frac{2}{I} \sum_{n=1}^m \frac{(\frac{2a_n\varphi}{I} - b_n) \cos n\varphi + (\frac{2b_n\varphi}{I} + a_n) \sin n\varphi}{(\frac{2b}{I})^2 + n^2}} \quad (18)$$

ექსტრემალური კუთხური სიხქარის მისაღებად ფორმულაში (18) უნდა განვახორციელოთ ჩასმები

$$\left. \begin{aligned} \frac{2a_n B}{I} - B_n &= Z_n \sin \alpha_n \\ \frac{2b_n}{I} + a_n &= Z_n \cos \alpha_n \end{aligned} \right\} \quad (19)$$

სადაც

$$Z_n = \frac{\sqrt{(a_n^2 + b_n^2)(4B^2 + n^2 I^2)}}{I} \quad (20)$$

მივიღებთ

$$\operatorname{tg} \alpha_n = \frac{2a_n B - b_n n I}{2b_n B - a_n I} \quad (21)$$

ასეთ შემთხვევაში კუთხური სიხქარის საანგარიშო ფორმულა დამყარებულ რეჟიმზე (18)-ის მიხედვით მიიღებს უფრო მოსახერხებელ ფორმას

$$\omega(\varphi) = \sqrt{\frac{2A - a_n}{2B} - 2 \sum_{n=1}^m \sqrt{\frac{(a_n^2 + b_n^2)}{4b_n^2 + n^2 I^2}} \sin(n\varphi - \alpha_n)} \quad (22)$$

საიდანაც ჩანს, რომ $\omega(\varphi)$ თავის მაქსიმალურ მნიშვნელობას მიაღწევს მაშინ, როცა ფუნქცია $n\varphi + \alpha_n = 3/2\pi$, ხოლო მინიმუმს, როცა $n\varphi + \alpha_n = \pi/2$, მაშინ ექსტრემალური მნიშვნელობისათვის გვაქვს

$$\omega_{\min}^{\max} = \sqrt{\frac{2A - a_n}{2B} - 2 \sum_{n=1}^m \sqrt{\frac{(a_n^2 + b_n^2)}{4b_n^2 + n^2 I^2}}} \quad (23)$$

ქარგენერატორის კონსტრუქციული თავისებურებებიდან გამომდინარე ბრუნვის სიხქარე არასოდეს არ იქნება მუდმივი, რადგან ფრთების ბრუნვის წყაროა გაურკვეველი მიმართულებისა და სიძლიერის ქარი. გარდა ამისა ბრუნვის უთანაბრობა შედეგია შეუწონსწორებელი მასების კუთხური სიხქარისა, ხოლო იდეალური შეწონსწორება არ არსებობს.

აქედან გამომდინარე, კუთხური სიხქარის უთანაბრობა შეიძლება დავახასიათოთ უთანაბრობის კოეფიციენტით [2], რომელიც განისაზღვრება ცნობილი ფორმულით

$$\delta = \frac{2(\omega_{\max} - \omega_{\min})}{\omega_{\max} + \omega_{\min}} \quad (24)$$

სადაც, ω_{\min} , ω_{\max} - ქარგენერატორის მასების ბრუნვის მინიმალური და მაქსიმალური ბრუნვის სიხარეები.

თუ ჩავსვამთ (23)-ს (24)-ში და მოვახდენთ გარდაქმნებს, მივიღებთ

$$\delta = \frac{\frac{2A - a_n}{2B} - \sqrt{\frac{(2A - a_n)^2 - 4 \left(\sum_{n=1}^m \sqrt{\frac{a_n^2 + b_n^2}{4b_n^2 + n^2 I^2}} \right)^2}{2B}}}{\sum_{n=1}^m \sqrt{\frac{a_n^2 + b_n^2}{4b_n^2 + n^2 I^2}}} \quad (25)$$

ამ ფორმულაში ინერციის მომენტის მისაღებად შეიძლება განხილული იქნას რამდენიმე შემთხვევა: 1) როცა $nI/2B \rightarrow 1$; 2) როცა $nI/2B \rightarrow 1$, მას ადგილი აქვს მაშინ, როცა $n \rightarrow \infty$, ანუ ამ დროს აიღება რაც შეიძლება მეტი ფურიეს დაშლის წევრები. მაშინ (25)-დან ძნელი არ არის მივიღოთ

$$I \geq \frac{B(\delta^2 + 4) \sum_{n=1}^m \sqrt{\frac{a_n^2 + b_n^2}{n^2}}}{\delta(2A - a_n)} \quad (26)$$

ან $\delta^2/4 = 0$ გათვალისწინება მოგვცემს

$$I \geq \frac{4B \sum_{n=1}^m \sqrt{\frac{a_n^2 + b_n^2}{n^2}}}{\delta(2A - a_n)} \quad (27)$$

დასკვნა: როცა $nI/2B \approx 1$, რაც ძალიან არასასურველია, ფორმულა (27) შეიძლება გამოდგეს ინერციის მომენტის სასურველი სიდიდის შერჩევისათვის ქარგენერატორის სვლის უთანაბრობის კოეფიციენტის მოცემული მნიშვნელობისათვის (δ). ბოლო ფორმულიდან ჩანს, რომ ინერციის მომენტი უთანაბრობის კოეფიციენტის უკუპროპორციულია.

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. აგეგუჩაძე, რ.ჭაბუკიანი, ო.ზივივაძე, ზ.გეგუჩაძე, ა.ყუფარაძე. კონუსურტურბინიანი და დახრილღერძიანი ქარძრავას ეტაპობრივი გაქანებისა და წონასწორობის პირობები. საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „ენერჯეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“, თბილისი, საქართველო, 2019 წლის 7-11 ოქტომბერი, ნაწილი II, გვ. 124-131.
2. Geguchadze, B. Zivzivadze, Z. Geguchadze, A. Kuparadze. Dynamic Balance and Wear Conditions of a Conic Wind Turbine with an Inclined Axis. The 10th International

Conference BALTRIB 2019. Proceedings of BALTRIB 2019 edited by prof., J. Padgurskas, eISSN 2424-5089/eISBN 978-609-449-093-4, Kaunas, Lithuania, 14-16 November 2019. p. 368-373.

3. Махароблидзе Р.М. Динамика и основы расчета ручных чаесборочных и подрезочных машин. Изд-во «Сабчота Сакартвело», Тбилиси. 1978, -245 с.

4. Чабукиани Р.Р. Использование машин в субтропическом горном земледелии. Изд-во «Сабчота Сакартвело», Тбилиси 1988, -240 с.

Инженерия и технологии

СТАБИЛИЗАЦИЯ РАБОЧИХ РЕЖИМОВ ВЕТРОГЕНЕРАТОРА С КОНИЧЕСКОЙ ТУРБИНОЙ И НАКЛОННОЙ ОСЬЮ

Р. ЧАБУКИАНИ, А. ГЕГУЧАДЗЕ, Б. ЗИВЗИВАДЗЕ, З. ГЕГУЧАДЗЕ, А. КУПАРАДЗЕ
ЮЛПП - Центр стажировки, переподготовки и трудоустройства вынужденных переселенцев
из Абхазии “Бизнес-инкубатор”

Резюме

В статье приведены результаты теоретического исследования зависимости коэффициента неравномерности переменных режимов от момента инерции приведенных вращательных масс с целью минимизации энергии самовращения ветрогенераторов: ветрогенератора с конической турбиной и наклонной осью, отличающегося рядом конструктивными особенностями от широко распространенных ветрогенераторов с горизонтальными и вертикальными осями.

Engineering & technology

STABILIZATION OF OPERATIONAL MODES OF WIND-POWERED GENERATOR WITH A CONICAL TURBINE AND A TILTED AXIS

**R. CHABUKIANI, A. GEGUCHADZE, B. ZIVZIVADZE, Z. GEGUCHADZE, A.
KUPARADZE**

LEPL – The Business Incubator Center for Internships, Retraining and Employment of People
Forcibly Displaced from Abkhazia

Summary

The article presents the results of a theoretical study of the relationship between the irregularity ratio of variable modes and the moment of inertia of the reduced rotational masses with a view to minimizing the autorotation energy of the wind-powered generators with a conical turbine and a tilted axis, which with a number of design features differs from the widely used wind-powered generators with the horizontal and vertical axes.

ეკონომიკა და ბიზნესი

**რძისა და რძის პროდუქტების წარმოების თანამედროვე
ტენდენციები საქართველოში**

ზინაბ ახალაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რძის ინდუსტრია არის ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი სექტორი, რომელიც საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფს მოსახლეობას. ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის გაზრდილი შემოსავლების შესაბამისად, სულ უფრო იზრდება მოთხოვნა მაღალი ხარისხის პროდუქციაზე. მიუხედავად ამისა, პროდუქციის ხარისხი და უვნებლობის საკითხი ჯერ კიდევ სრულად ვერ შეესაბამება სასურველ დონეს.

ფაქტიურად არსებობს ყველა რესურსი მერძეულობის განვითარებისათვის. კერძოდ, ლიბერალური საგადასახადო სისტემა; თავისუფალი ბაზარი; სახელმწიფო პოლიტიკა, მიმართული ადგილობრივი წარმოების გასავითარებლად და ა.შ. მაგრამ, მიუხედავად ამისა არის საკითხები, რომელთა მოგვარების საქმეში სახელმწიფო ხელშეწყობის გარეშე წარმოუდგენელი იქნება დარგის განვითარება. ასეთ საკითხებს შორის პირველ რიგში აღსანიშნავია: ხელმისაწვდომობა თანამედროვე ტექნოლოგიებსა და გრძელვადიან საკრედიტო რესურსებზე; მენეჯმენტის გამოუცდელობა და დაბალი კვალიფიკაცია და სხვა. რა თქმა უნდა პრობლემები მოგვარებადია, მაგრამ მათი მოგვარება მხოლოდ დაინტერესებულ პირთა გაერთიანებით და მუხლჩაუხრელი მუშაობით არის შესაძლებელი.

რძის ინდუსტრია არის ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი სექტორი, რომელიც საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფს მოსახლეობას. ცნობილია, რომ სახელმწიფოს განვითარების დონე განსაზღვრავს ერთ სულ მოსახლეზე მოხმარებული ცილების საშუალო რაოდენობას. ცხოველური წარმოშობის ცილებს შორის რძის პროტეინები წარმოადგენენ ყველაზე უფრო სრულფასოვანს; ამასთანავე, შედარებით ადვილად ხდება მათი შეთვისება ადამიანის ორგანიზმის მიერ. რძის პროტეინი შეუცვლელია: იგი შეიცავს ამინომჟავებს, რომელთა სინთეზირებაც ხელოვნური გზით შეუძლებელია. ისინი ადამიანის ორგანიზმში არეგულირებენ მეტაბოლიზმის პროცესს და ხელს უწყობენ ორგანიზმიდან ტოქსიკური ნივთიერებების გამოდევნას. სწორედ რძის ცილა არის ყველაზე ძვირფასი კომპონენტი და არა რძის ცხიმი.

რძისა და რძის პროდუქტების გლობალური მოხმარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი მუდმივი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. წელიწადში, რძისა და რძის პროდუქტების მოხმარების სამედიცინო ნორმა ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 390 კგ-ს. მსოფლიო მასშტაბით, ყველაზე უფრო მეტი რაოდენობით რძის პროდუქტებს ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით მოიხმარენ სკანდინავიის ქვეყნები: ფინეთი-361 კგ, შვედეთი-356 კგ, ნორვეგია-262 კგ. რაც შეეხება საქართველოს, რძესა და რძის პროდუქტებზე, ტრადიციულად საქართველოში მაღალი მოთხოვნა

ფიქსირდება. განაკუთრებულად მაღალია მოთხოვნა ყველზე, შემდეგ მოდის არაჟანი, ხაჭო, კარაქი და სხვა პროდუქტები.

ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის გაზრდილი შემოსავლების შესაბამისად, სულ უფრო იზრდება მოთხოვნა მაღალი ხარისხის პროდუქციაზე. მიუხედავად ამისა, პროდუქციის ხარისხი და უვნებლობის საკითხი ჯერ კიდევ სრულად ვერ შეესაბამება სასურველ დონეს. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს რძის და რძის პროდუქტების მაღალი ხარისხისა და უვნებლობის ახალი სტანდარტების დასანერგად. ჩვენს ქვეყანაში, ათეულობით საკანონმდებლო აქტი არეგულირებს რძის და რძის პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის საკითხებს. ისინი განსაზღვრავენ ვეტერინალურ ნორმებს, შეფუთვის, ტრანსპორტირების, ეტიკეტირებისა და სხვა საკითხებს. თუმცა, არსებობს გამოწვევებიც. დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ტექნოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. შესაბამისად, სტანდარტები ბაზრის მსხვილი მოთამაშეებისათვის უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე შინამეურნეობებისთვის.

მიუხედავად მოთხოვნის ზრდისა, არსებობს შეუსაბამობა მოთხოვნასა და მოხმარებას შორის. ამჟამად, ეს მაჩვენებელი ნორმაზე გაცილებით დაბალია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ბოლო წლებში, ერთ სულზე გადაანგარიშებით, რძის პროდუქტების მოხმარება თითქმის უცვლელია და 175-176 კილოგრამის ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება რძის წლიურ მოხმარებას საკვებად მთლიანად საქართველოში, იგი 2018 წლის მონაცემებით შეადგენს 656 ათას ტონას. ეს მონაცემი წინა წლებთან შედარებით მზარდია, მაგრამ ზრდა არის უმნიშვნელო.

ცხრილი №1.

რძის სასურსათო ბალანსი

მაჩვენებლები	2014	2015	2016	2017	2018
რესურსები (ათასი ტონა)					
მარაგი წლის დასაწყისში	16	17	17	16	16
ადგილობრივი წარმოება	589	566	540	528	520
იმპორტი	84	102	131	150	163
სულ რესურსები	688	685	688	695	700
გამოყენება (ათასი ტონა)					
პირუტყვის საკვებად	12	12	11	11	11
სასურსათო მოხმარება	644	644	651	651	656
დანაკარგები	7	7	7	7	7
ექსპორტი	9	5	3	9	9
მარაგები წლის ბოლოს	17	17	16	16	16
მოხმარება ერთ სულზე					
მოსახლეობის საშ.წლ. სულადობა	3.713	3.717	3.719	3.724	3.735
მოხმარება ერთ სულზე, კგ. წლ-ში	173	173	175	175	176
თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი	88%	85%	81%	78%	77%

თითქმის უცვლელია თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის სიდიდე წინა 2017 წელთან შედარებით და შეადგენს 77%-ს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ზოგადად კლების ტენდენციით ხასიათდება. კლების სიდიდე ბოლო ხუთი წლის მანძილზე თითქმის ათ ერთეულზე მეტს შეადგენს, რაც რა თქმა უნდა ძალიან არასასურველ მოვლენად აღიქმება.

პირდაპირი კავშირი არსებობს პროდუქტის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელსა და ადგილობრივ წარმოებას შორის. რძის პროდუქტები ჩვენი ყოველდღიური რაციონის ძალიან დიდ ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოში ნედლი რძის წარმოების მოცულობა მცირდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ თუ არ განვითარდა ადგილობრივი წარმოება და არ მოხდა ბაზრის დივერსიფიკაცია, თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლის ზრდა შეუძლებელი იქნება. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე რძის წარმოების მთლიანი მოცულობა მაქსიმალურ სიდიდეს აღწევს 2014 წელს და იგი შეადგენს 589 ათას ტონას. მომდევნო წლებში რძის წარმოება მცირდება და 2018 წელს შეადგენს 520 ათას ტონას. კლების სიდიდე საკმაოდ შთამბეჭდავია, 2014 წელთან შედარებით 2018 წელს ადგილობრივი რძის წარმოება დაახლოებით 12%-ით შემცირდა. წარმოებული რძის უდიდესი ნაწილი, კერძოდ 98% მოდის ფურისა და კამეჩის რძეზე, ხოლო დანარჩენი უმნიშვნელო ნაწილი – ცხერისა და თხის რძეზე, რაც დამახასიათებელი მოვლენაა ჩვენი ქვეყნისთვის. რაც შეეხება რძის წარმოებას რეგიონების მიხედვით, 2017 წლის მონაცემებით ლიდერობს იმერეთი – 110 ათასი ტონა, შემდეგ ადგილზე არიან: ქვემო ქართლი – 1036 ათასი ტონა, სამცხე-ჯავახეთი – 72 ათასი ტონა, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 65 ათასი ტონა, კახეთი – 53 ათასი ტონა, აჭარა – 32 ათასი ტონა, გურია – 24 ათასი ტონა და ა.შ.

საკვლევ პერიოდში მნიშვნელოვნად და თანმიმდევრულად მცირდება ფურისა და კამეჩის რაოდენობა. 2014 წელს ფურისა და კამეჩის სულადობა შეადგენდა 563 ათას ერთეულს, ხოლო 2018 წლისათვის იგი შემცირდა და შეადგინა 438 ათასი ერთეული. მაშასადამე, 2014-2018 წლებში, ფურისა და კამეჩის რაოდენობა 125 ათასი ერთეულით შემცირდა. რაც შეეხება ცხვარსა და თხას, ამ შემთხვევაშიც შენარჩუნებულია შემცირების ტენდენცია. 2018 წელს 2014 წელთან შედარებით, ცხერისა და თხის სულადობა შემცირდა 920 ათასი სულიდან 909 ათას სულამდე და ჯამში შეადგინა 11 ათასი ერთეული. თუმცა, გამონაკლისს შეადგენდა 2016 წელი, როდესაც მათი რაოდენობა გაიზარდა 936 ათას სულამდე და უნდა ითქვას, რომ ეს ზრდა საკმაოდ შთამბეჭდავია.

საქართველოში რძის წარმოება კონცენტრირებულია იმ რეგიონებში, სადაც ამისთვის საუკეთესო კლიმატური პირობებია (სამეგრელო და თბილისთან ახლოს, ქვემო ქართლი). დასავლეთ საქართველოში საკმაოდ ზომიერი კლიმატია კულტურების საწარმოებლად ცხრათვიანი აქტიური ვეგეტაციის პერიოდით, რაც საფურაჟე ბალახის ცხრა მოთიბვის და სიმინდის სასილოსედ ორჯერ წარმოების საშუალებას იძლევა. თბილისთან, როგორც საქართველოში რძისა და რძის პროდუქტების ყველაზე მსხვილი მოხმარების ცენტრთან, სიახლოვეს ასევე თავისი უპირატესობა აქვს, რადგან ფერმერებს შეუძლიათ მეტ ფასად გაყიდონ რძე. ბოლო წლებში რამდენიმე რეგიონის პროდუქტების მთლიან სულადობაში გაზრდილი წილი გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ საქართველოში დაიწყო რძის წარმოების სპეციალიზაცია და ინტენსიფიკაცია. ინტენსიური ფერმები კონცენტრირებულია კახეთში და ქვემო ქართლში, რომლებიც ახლოს არიან თბილისთან.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ნედლი რძის წარმოების სექტორის პროდუქტიულობა საკმაოდ დაბალია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, ფურისა და ფურკამეჩის საშუალო წველადობა ერთ სულზე შეადგენს 1432 ლიტრს წელიწადში. მართალია, ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი იმავდროულად მცირედი ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

საქონლის სულადობა მსოფლიოში დახლოებით 1307 მლნ-ს აღემატება, ჭარბობს სარძევე მიმართულების ძროხები. სარძეო მიმართულების ქვეყნებიდან ერთ ფურზე საშუალო წველადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან ისრაელი – საშუალოდ 9105 კგ, აშშ 7464 კგ და ა. შ. მოწინავე ქვეყნებში საშუალო წლიური წველადობა ერთ სულზე აღემატება 6000 კგ-ს, ანუ დღეში 20 კგ-ზე მეტს. რაც შეეხება საქონლის ჯიშებს, განვითარებულ ქვეყნებში გავრცელებული ჯიშებიდან (ცხრ.2), საქართველოში გავრცელებულია პოლშტეინის და შვეიცარული წაბლას ჯიშები. საგულისხმოა, რომ მათი პროდუქტიუობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებში იგივე ჯიშების მაჩვენებლებს. შვეიცარული წაბლას წლიური წველადობა საქართველოში მხოლოდ 3600 კგ-ია, რაც ანალოგიური ჯიშის იგივე მაჩვენებლის მხოლოდ 37%-ია. წველადობის (ანუ ლაქტაციის პერიოდი) ხბოს მოგებისას იწყება და საუკეთესო შემთხვევაში 305 დღეს გრძელდება, შემდეგ იწყება 60 დღიანი მშრალობის პერიოდი, რომლის დროს ფურის ორგანიზმი ახალი ხბოს მოგებისა და ლაქტაციისათვის ემზადება. საქართველოში კი წველადობის პერიოდი არაეფექტური ჯიშების არსებობისა და მოვლის სათანადო პირობების არ არსებობის გამო, მნიშვნელოვნად ნაკლებია და გრძელდება 7-დან 9 თვემდე.

ფურის წველადობაზე ჯიშობრივის გარდა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოვლის პირობები. არასრულაფასოვანი კვება 2-3 ჯერ ამცირებს წველადობას. გარდა ამისა, საჭირთა საძროხეში ოპტიმალური მიკროკლიმატის დაცვა: ჰაერის ტემპერატურა 15-18 გრადუსი, შეაფრდებითი ტენიანობა 75%, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე ზამთარში 0,5 მ/წამში, ნახშირორჟანგის კონცენტრაცია არაუმეტეს 0,25%-სა და სხვა. ამ ნორმატივების დარღვევა განს

რაც შეეხება ფასებს, ქართული ნედლი რძის პირდაპირ ფერმიდან გასაყიდი ფასები სეზონური წარმოების გამო სეზონურად იცვლება. ფასების დინამიკა უცვლელი რჩება წლიდან წლამდე: საძოვრებზე ძოვების პერიოდში, როდესაც წარმოება ყველაზე მეტია, ფასი ყველაზე დაბალია – 0,45 ლარი/კგ. და როდესაც წარმოება მცირდება, ფასი იზრდება 1,2 ლარი/კგ-მდე. მიუხედავად სეზონურობისა, ზოგიერთი ინტენსიური ფერმა დებს გრძელვადიან კონტრაქტს, რომლითაც ისინი ყველა სეზონზე 1 კგ ნედლ რძეს 1 ლარად მიჰყიდნიან კონტრაქტორ გადაამუშავებლებს. ამის მიზეზი ზოგადად არსებული მოთხოვნაა რძის მაღალ ხარისხზე და სტაბილურად მიწოდებაზე. ქარხნები ზამთარში ძირითადად დამოკიდებულნი არიან იმპორტირებულ რძის ფხვნილზე, რადგან ნედლ რძეს უფრო მაღალი ფასი აქვს იმპორტირებულ მოხდელ რძის ფხვნილთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მერძეეობა საკმაოდ პერსპექტიული დარგია. ფაქტიურად არსებობს ყველა რესურსი მისი განვითარებისათვის. კერძოდ, ლიბერალური საგადასახადო სისტემა; თავისუფალი ბაზარი; სახელმწიფო პოლიტიკა, მიმართული ადგილობრივი წარმოების გასავითარებლად და ა.შ. მაგრამ, მიუხედავად ამისა არის საკითხები, რომელთა მოგვარების საქმეში სახელმწიფო ხელშეწყობის გარეშე წარმოუდგენელი იქნება დარგის განვითარება. ასეთ საკითხებს შორის პირველ რიგში აღსანიშნავია: ხელმისაწვდომობა თანამედროვე ტექნოლოგიებსა და გრძელვადიან საკრედიტო რესურსებზე;

მენეჯმენტის გამოუცდებლობა და დაბალი კვალიფიკაცია და სხვა. რა თქმა უნდა პრობლემები მოგვარებადია, მაგრამ მათი მოგვარება მხოლოდ დაინტერესებულ პირთა გაერთიანებით და მუსხლჩაუსრელი მუშაობით არის შესაძლებელი.

ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2019 წ.
3. ინტერნეტრესურსები

Экономика и бизнес

СОВРЕМЕННЫЕ ТЕНДЕНЦИИ ПРОИЗВОДСТВА МОЛОКА И МОЛОЧНЫХ ПРОДУКТОВ В ГРУЗИИ

3. АХАЛАДЗЕ

Государственный Университета Акакия Церетели

Резюме

Молочная промышленность является одним из основных секторов экономики страны, обеспечивающим население продовольствием. В условиях экономического развития и увеличения доходов населения растет спрос на качественную продукцию. Однако качество и безопасность продукта все еще несовместимы с желаемым уровнем.

На самом деле есть все ресурсы для развития молочной промышленности. А именно, либеральная налоговая система; Свободный рынок; Государственная политика, продвижение местного производства и др. Однако есть вопросы, которые нельзя решить без участия государства. Прежде всего, такими проблемами являются: доступ к современным технологиям и долгосрочным кредитным ресурсам; неопытность менеджмента и низкая квалификация и многое другое. Конечно, проблемы решаемы, но их решение возможно только путем объединения заинтересованных людей и Самоотверженной работой.

Economics & business

CURRENT TRENDS IN THE PRODUCTION OF MILK AND DAIRY PRODUCTS IN GEORGIA

Z. AKHALADZE

Akaki Tsereteli State University

Resume

The dairy industry is one of the main sectors of the country's economy, providing food to the population. With the economic development and increasing incomes of the population, the demand for quality products is growing. However, the quality and safety of the product is still incompatible with the desired level.

In fact, there are all the resources for the development of the dairy industry. Namely, the liberal tax system; Free market; State policy, promotion of local production, etc. However, there are issues that cannot be resolved without state participation. First of all, such problems are: access to modern technologies and long-term credit resources; management inexperience and low qualifications and much more. Of course, problems are solvable, but their solution is possible only by uniting interested people and selfless work.

ქიმიური ტოქსიკანტები და კვების როლდუქტები

ნანა კილაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გარემოში არსებულ ბუნებრივ და ანთროპოგენულ ტოქსიკანტებს დიდი ზიანი მოაქვთ ადამიანისათვის. აღსანიშნავია საკვებ პროდუქტთა დაბინძურება, საჭიროა საწყისი ნედლეულის და მზა საკვები პროდუქტების მუდმივი შემოწმება და კონტროლი. მკვლე ნივთიერებათა შემცველობაზე და მათი ვარგისიანობა არავითარ კვებს არ უნდა იწვევდეს. მაღალი ხარისხის უსაფრთხო კვების პროდუქტთა წარმოების რაციონალური ტექნოლოგიების ძიება, დანერგვა და მათზე ზედამხედველობა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. გარემოში მოხვედრილი ტოქსიკური ნაერთები ეკოსისტემის ცალკეული კომპონენტებთან საბოლოოდ ხვდება კვებით ჯაჭვებში. კვების პროდუქტების ნორმების დადგენას დღეს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. კვების პროდუქტთა დაბინძურების და კვების ტოქსიკოინფექციების განვითარების აღსაკვეთად საჭირო ხდება ახალი მდგომარეობის ძიება და კვების პროდუქტთა ხარისხის უზრუნველყოფას კომპლექსური პოლიტიკის ჩამოყალიბება. იგი იძლევა შესაძლებლობას შემუშავდეს საკვებ პროდუქტთა დაბინძურების და ტოქსიკოინფექციებზე ეპიდ ზედამხედველობის მონიტორინგის საერთაშორისო, ნაციონალური და ადგილობრივი პროგრამები.

გარემოში მოხვედრილი ტოქსიკური ნაერთები ეკოსისტემის ცალკეული კომპონენტებიდან საბოლოოდ კვებით ჯაჭვში ხვდებიან. მეტად მნიშვნელოვანია საკვების პროდუქტების დაბინძურება შხამიანი უმაღლესი მცენარეებით, მწერებით ან მიკროორგანიზმებით. კვების პროდუქტების დაბინძურების ბიოლოგიურ გზებს, პირველ რიგში, წარმოადგენს მიკროორგანიზმები და მათი ცხოველმყოფელობის პროდუქტები, მიკოტოქსინები - უმაღლესი სოკოების მიერ წარმოქმნილი ტოქსიკური პროდუქტებია.

მრავალი ობის სოკო შეიცავს ნივთიერებებს, რომელიც ადამიანისათვის მომწამლელია, ტოქსიურობის ხარისხის შეცნობა თვალთ შეუძლებელია. ამიტომ საკვებში არსებული ნებისმიერი ობი უნდა განიხილებოდეს, როგორც პოტენციურად ტოქსიკური.

ობის სოკოები და მათ მიერ წარმოქმნილი ტოქსინები საკვებ არედ იყენებენ ისეთ პროდუქტებს, როგორცაა პური, ბოსტნეული, ხორცი, ყველი. როგორც ირკვევა აფლატოქსინები ცილებს უკავშირდებიან და აკუმულირდებიან კვების პროდუქტებზე. ცილებთან ურთიერთქმედების შედეგად ტოქსინები უკავშირდება ქრომატინს და მათ გენურ აქტიობას არღვევს. ამ ეფექტით არის გამოწვეული აფლატოქსინების კანცეროგენული მოქმედება. აფლატოქსინები ტემპერატურისადმი მდგრადობით გამოირჩევა. ამიტომ საჭიროა კვების პროდუქტების შენახვა მშრალ

ჰაერზე 10⁰C-ზე დაბალი ტემპერატურის პირობებში. კვების პროდუქტები შეიძლება შეიცავდეს ბოტულიზმის ტოქსინს-ცილოვანი ბუნების შხამს, რომელიც დღეისთვის ყველა ცნობილ ბუნებრივ შხამზე ძლიერია.

გარემოში მოხვედრილი ანთროპოგენული ქიმიური ნივთიერებები თავისი თვისებით შეიძლება იყოს მავნე. ნივთიერებები ხვდებიან კვების პროდუქტებში მათი არასათანადო დანიშნულებით გამოყენებისას, საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებიდან, უვარგისი შესაფუთი მასალიდან.

აზოტოვანი სასუქების უზომო გამოყენებისას მცენარის ზოგიერთი სახეობა აგროვებს დიდი რაოდენობით ნიტრატებს. ამ მხრივ გამოირჩევა შაქრის ჭარხალი, ისპანახი, სტაფილო, კომპოსტო და სხვა.

მცენარეებს შეუძლიათ ისეთი ელემენტების დაგროვებაც, რომლებიც ნივთიერებათა ცვლისთვის საჭიროა ულტრამიკრო რაოდენობით. ასე გროვდება მცენარეში მძიმე ლითონები. ტყვიას მცენარის ფოთლები გაცილებით მეტი რაოდენობით აგროვებს, ვიდრე ფესვთა სისტემა. ეს მეტალი ადამიანის ორგანიზმში ხვდება კვებითი ჯაჭვით: მცენარე-მცოხნავის დვიძლი და თირკმლები. ვერცხლისწყალი ძირითადად გროვდება თევზებისა და მოლუსკების ორგანიზმებში. კალმიში ადამიანის ორგანიზმში ძირითადად მცენარეული, ცხოველური და სოკოვანი საკვებიდან ხვდება.

საკვებში მოხვედრილი ნივთიერებებიდან ბევრი კანცეროგენული ბუნებისაა. კიბოს ეტიოლოგიის კვლევამ არაერთი ნივთიერება გამოავლინა, რომლებიც ავთვისებიან დაავადებებს იწვევენ. მათ შორის არის ისეთებიც, რომლებიც კვებით ჯაჭვებს უკავშირდებიან. მაგალითად ე.წ. „მელვინების კიბოს“ მიზეზი არის დარიშხანი, რომელსაც ვენახში იყენებენ ფილოქსერას საწინააღმდეგოდ.

საკვები პროდუქტების დამზადებისას გამოყენება სხვადასხვა დანამატები, ხოლო კულინარული პროცესების (წვა, ხარშვა, შრობა) შედეგად საწყისი ნივთიერებებიდან წარმოიქმნება ახალი ნივთიერებები. კვების პროდუქტთა თვისებათა ცვლილებები ხდება სხვადასხვა ქიმიური ბუნების სტაბილიზატორების და დამატების შედეგადაც, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ გარკვეული პერიოდით პროდუქტების მდგრადობა.

ხორცი შებოლვისას ან შეწვისას მუდმივად კვამლში იმყოფება, რაც მას თავისებურ არომატს ანიჭებს. შებოლვის შემდეგ პროდუქტის მდგრადობა განპირობებულია მასში ფენოლური ბუნების ნივთიერებების არსებობით. შებოლვის დროს წარმოიქმნება პოლიციკლური ნახშირწყალბადებიც, რომლებიც კვამლთან ერთად ხორცზე ილექება. ცივი შებოლვისას კვამლში გაცილებით ნაკლებია ასეთი კანცეროგენების შემცველობა, როგორც ბენზპირენია. შებოლილ ხორცში ამ ნივთიერების საშუალო შემცველობა 2-8 მკგ/კგ-ს შეადგენს. გამახურებლიდან ოპტიმალური მანძილის შერჩევისას, ან ცივი შებოლვისას (12-24⁰C), ხორცში ბენზპირენის რაოდენობა შეიძლება მინიმუმამდე შემცირდეს. ხორცის და თევზის დამუშავებისას, აგრეთვე ყველის დამზადებისას შეიძლება ნიტროზამინების წარმოქმნა, თუ კვების პროდუქტთა მომზადების პროცესში მჭავე არეში ნიტრატები იმყოფება, ხორცის პროდუქტები და ძხვეული შეიძლება შეიცავდნენ 0.1-1 მკგ ნიტროზამინს. მავენ ნივთიერებათა ყველაზე მაღალი შემცველობა გამოვლენილია დამარილებული საქონლის და ღორის ხორცში. ნიტროზამინები ჩვეულებრივ მხოლოდ ნიტრიტით და ნიტრატით დამუშავებული ხორცის პროდუქტებში გვხვდება.

კვების პროდუქტების ხარისხის ნორმების დადგენას სადღეისოდ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. კვების პროდუქტთა დაბინძურების და

კვებითი ტოქსიკონფექციების განვითარების აღსაკვეთად საჭირო ხდება ახალი მიდგომების ძიება და კვების პროდუქტთა ხარისხის უზრუნველყოფის კომპლექსური პოლიტიკის ჩამოყალიბება. იგი შესაძლებლობას იძლევა შემუშავდეს საკვებ პროდუქტთა დაბინძურებისა და ტოქსიკონფექციებზე ეპიდზედამხედველობის მონიტორინგის საერთაშორისო, ნაციონალური და ადგილობრივი პროგრამები.

გარემოს გამაჭუჭყიანებელ მრავალ ფაქტორს გენეტიკური აქტივობა აღმოაჩნდა. წარმოქმნილი მუტაციები საზიანოა, იგი არღვევს ევოლუციის პროცესში ჩამოყალიბებული ორგანიზმის ერთიან გენეტიკურ სისტემას. საფრთხე ემუქრება როგორც ადამიანის ამჟამინდელ და მომდევნო თაობებს, ისე მთელ ბიოსფეროს. დღეისათვის ცნობილია, რომ დამბინძურების დიდი უმრავლესობა გენეტიკური აპარატის დაზიანებას იწვევს, რასაც უკავშირდება არა მარტო მემკვიდრული დაავადებები, ავთვისებიანი სიმსივნეები, არამედ ისეთი დაავადებებიც, როგორცაა გულ-სისხლძარღვთა, ნერვული, საჭმლის მომწელებელი სისტემის და სხვ. საჭიროა შემუშავდეს პროფილაქტიკური ღონისძიებები, რომელიც მიმართული იქნება ორგანიზმზე მათი მოქმედების გენეტიკური შედეგების აცილებისკენ.

ბიოსფეროში გეოგრაფიულ გადატანასთან ერთად ადგილი აქვს ტოქსიკური ნაერთების ბიოტურ გადატანას, რომლებიც ხორციელდება ცოცხალი ორგანიზმებით. ბიოტური გადატანა ხდება იმ მწერების, ფრინველების, თევზების და ცხოველების აქტიური გადაადგილების შედეგად, რომლებიც ეკოტოსქიკანტებს აკუმულირებენ. ბიოტური გადატანის მნიშვნელოვანი სახეა კვებითი ჯაჭვით ერთი ორგანიზმიდან მეორეზე ტოქსიკური ნაერთების გადატანა. ბიოტური გადატანის პროცესს მიეკუთვნება ადამიანის ისეთი მოქმედება, რომლის შედეგად ხდება ქიმიური ნაერთებით დაბინძურებული სამშენებლო მასალების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გავრცელება.

ტოქსიკური ნაერთების კვებით ჯაჭვში გადატანა აქტუალურია, რადგან ეს პროცესი წარმოადგენს ადამიანის ორგანიზმში ტოქსიკური ნაერთების მოხვედრის ერთ-ერთ ძირითად გზას.

ბუნებრივია, რომ პროფილაქტიკის ყველაძე საუკეთესო საშუალებაა კანცეროგენის წარმოებიდან ამოღება. უკიდურეს შემთხვევაში გარემოში ზღკ-ზე ნაკლებ ღონემდე უნდა შეიზღუდოს. გარდა ამისა, სპეციალური ფარმოკოლოგიური საშუალებებით უნდა ხორციელდებოდეს კანცეროგენული ნივთიერებების და მათი გარდაქმნების ტოქსიკური პროდუქტების შებოჭვა და ორგანიზმიდან გამოძევება.

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. Экхольм Э. Окружающая среда и здоровье человека. М. Прогресс. 1980.
2. Оксенгендлер Г.И. Яды и противоядия л. Наука. 1982.
3. Феленберг Г. Загрязнение природной среды. М. Мир. 1997.
4. Кorte Ф. бахадил М. Клаин В. Экологическая химия М. Мир. 1996.
5. Шабад Л.М. Ильницкий А.П. Канцерогенные вещества в окружающей человека среде. Будапешт. 1979.

Экология

ХИМИЧЕСКИЕ ТОКСИКАНТЫ И ПИЩЕВЫЕ ПРОДУКТЫ**Н. КИЛАДZE**

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

Наличие в окружающей среде естественных и антропогенных токсикантов приносят большой ущерб здоровью человека.

Особенное значение имеет предупреждение о вредных химических веществах, которые вместе с пищей попадают в организм человека.

Ecology

NOXICANTS IN FOODS**N. KILADZE**

Akaki tsereteli State University

Summary

Protenting human from low-gradze food stuff, harmful for health and in some cases for live is an actual problem nowadays. The amount of low-gradze and counterfieted food-stuff is encreasing each year on consumer market, the usage of which is very harmful for human healthy and causes tots of diseases.

ბუნების კვლევის ვიზიტორთა ღინამიკა იმერეთში (2000-2019 წლებში)

რუსუღან ვახუშტიძე

სსიპ წმ. ნინოს სახელობის ქუთაისის მე-3 საჯარო სკოლის პედაგოგი
ნანა ბლიაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

იმერეთის არაორგანული ბუნების ძეგლები საქართველოს ყველაზე მონახულებად ობიექტების ნუსხაში მოწინავე პოზიციებს იჭერენ, მაგალითად, 2016-2019 წლებში საქართველოს მასშტაბით ვიზიტორთა რაოდენობით პრომეთეს მღვიმე ლიდერობს და მათი რაოდენობა 561 989 შეადგენს, სათაფლიის მღვიმეს 274 747 ვიზიტორი პყავდა, ხოლო ოკაცეს კანიონმა აღნიშნულ პერიოდში 240 864 ვიზიტორს უმასპინძლა, ხოლო ნავენახევის მღვიმე 2018-19 წლებში 3654 ვიზიტორმა მონახულა, ე. ი. საერთო ჯამში იმერეთის მხოლოდ 4 არაორგანული ბუნების ძეგლი 1 081 254 ვიზიტორმა მონახულა.

-- *იმერეთის რეგიონში მდებარე ბუნების ძეგლები არა მხოლოდ ადგილობრივი ანუ რეგიონული მნიშვნელობისაა, არამედ თავიანთი უნიკალურობიდან გამომდინარე მათ რესპუბლიკური და საერთაშორისო ტურისტული ობიექტების ფუნქციაც შეიძინეს, რადგან ვიზიტორების თითქმის 50% უცხოელია;*

--- *იმერეთის ბუნების ძეგლები, ვიზიტორთა რაოდენობიდან გამომდინარე საკმაოდ დიდი ეკონომიკური ეფექტით გამოირჩევიან, რადგან მათი ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავალი იმერეთის რეგიონის მასშტაბით საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება*

დაცული ტერიტორიების - ბუნების ძეგლების, ნაკრძალების, ეროვნული პარკების და სხვ. -ძირითადი ფუნქცია ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვასთან ერთად ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაცაა. როგორც მსოფლიო გამოცდილების პრაქტიკა გვიჩვენებს, დღეისათვის დაცული ტერიტორიები წარმოადგენენ არა შემოღობილ და საზოგადოებისათვის აკრძალულ ზონებს, არამედ მათი გამოყენება წარმატებით შეიძლება ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისათვის. დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში 88 დაცული ტერიტორია გვაქვს, რომლის ფართობი საერთო 585 883 ჰა-ია და ქვეყნის ტერიტორიის 8.62 %-ს შეადგენს (დაცული ტერიტორიების სააგენტო, <http://apa.gov.ge/ge/protectedareas>).

იმერეთის რეგიონი ბუნების ძეგლების რაოდენობითა და მრავალფეროვნებით პირველ ადგილს იკავებს ქვეყნის მასშტაბით, რადგან საქართველოში რეგისტრირებული 42 ბუნების ძეგლიდან 19 ანუ 45 % იმერეთში მდებარეობს; ტურისტული ნაკადების, შემოთავაზებული სერვისებისა და ტურისტული ორგანიზაციების სრულყოფილად შესწავლის მიზნით ტარდება შესაბამისი კვლევები. იმერეთში ტურისტული ნაკადების რაოდენობის შესაფასებლად

გამოვიყენეთ ორი წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო (GNTA) და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). არსებული მონაცემების შესწავლისას, არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია, ინფორმაციის წყაროს ხასიათი და სანდოობა. GNTA-ს მიერ იმერეთის რეგიონში ჩასული ვიზიტორების რაოდენობის შეფასება დაფუძნებულია რამოდენიმე კვლევაზე, რომელიც ჩატარდა, როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა ტურისტების მონაწილეობით. იმერეთის რეგიონში ჩასული ტურისტების საერთო რაოდენობის მისაღებად მოხდა მონაცემების განზოგადება. ათწლეულის დასაწყისში ტურისტების რაოდენობა მეტნაკლებად არ იცვლებოდა. ვიზიტორების რაოდენობამ საშუალო ტემპებით ზრდა 2003 წელს დაიწყო და მომდევნო წლებში ბევრად უფრო იმატა. საერთო ჯამში ზრდის ტემპი 2003 წლის შემდგომ დაახლოებით 35% იყო და 2009 – 2010 წლების პერიოდში 70%-ს მიაღწია. ტურისტების რაოდენობის მცირედ შემცირება აღინიშნა 2008 წელს, რაც რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წელს ზრდის ტემპი შემცირდა, უცხოელების რაოდენობამ დინამიკაში მაინც დადებითი ტენდენცია შეინარჩუნა ამ პერიოდში მაშინ, როდესაც ქართველების რაოდენობამ 9%-ით მოიკლო. 2010 წელს აღინიშნა ზრდის ტემპების მატება, ამ პერიოდში უცხოელი ტურისტების რაოდენობა, რომლებიც სასტუმროებში გაჩერდნენ, ორჯერ გაიზარდა.

GNTA-ს შეფასების მიხედვით, 2010 წელს იმერეთი მონიახულა დაახლოებით 740 000-მა ვიზიტორმა, მათგან 585 000 იყო ქართველი, ხოლო 155 000 - უცხოელი ვიზიტორი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს რიცხვები დაფუძნებულია დაახლოებით შეფასებაზე და მოიცავს იმ ადამიანებსაც, რომლებიც უბრალოდ გავლით იყვნენ იმერეთში ან დარჩნენ ისეთ განთავსების ადგილას, რომელიც არ არის დარეგისტრირებული, როგორც სასტუმრო. ვიზიტორების უმეტესობა (79%) იყო საქართველოდან, ხოლო 21 % - უცხოეთიდან.

2011 წელს იმერეთის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორების ჯამურმა რაოდენობამ 151 949 ადამიანი შეადგინა, საიდანაც ადგილობრივებისა და უცხოელთა ხვედრითი წილი თითქმის თანაბარია. 2016 წლის განმავლობაში საქართველოს დაცულ ტერიტორიებს 734 874 ვიზიტორი ესტუმრა, ზრდა წინა წელთან შედარებით 41,8 % -ს შეადგენს. აქედან უცხოელი ვიზიტორების წილი 42 %-ია. ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა პრომეთეს მღვიმეს –138 227 (18, 8%).

საქართველოში 2016 წელს დაცული ტერიტორიების ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2 313 697 ლარი შეადგინა, ზრდა წინა წელთან შედარებით 45,5%-ია. შემოსავლების მხრივ საქართველოს მასშტაბით ლიდერობდა პრომეთეს მღვიმე, რომლის შემოსავალმა აღნიშნულ წელს 927 994 ლარი შეადგინა, მას მცირედით ჩამორჩებოდა და ქვეყნის მასშტაბით მე-2 ადგილს იკავებდა მარტვილის კანიონი -- 433 506 ლარით, რომელიც საკვლევ ტერიტორიას არ მოიცავს. შემოსავლების რაოდენობით მთელი ქვეყნის მასშტაბით მესამე ადგილს იკავებს კვლავ ჩვენი საკვლევ რეგიონის -- იმერეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბუნების ძეგლი --- სათაფლია, რომლის ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2016 წელს 386 541 ლარი შეადგინა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, საქართველოს მასშტაბით შემოსავლების რეიტინგში მომდევნო პოზიციას ისევ იმერეთის რეგიონის დაცული ტერიტორია -- ოკაცეს კანიონი იკავებს -- 318 537 ლარით.


2017 წლის განმავლობაში საქართველოს დაცულ ტერიტორიებს 954 692 ვიზიტორი ესტუმრა, ზრდა წინა წელთან შედარებით 29,9 % -ს შეადგენს. აქედან

უცხოელი ვიზიტორების წილი 43,5 %-ია. ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა პრომეთეს მღვიმეს --163 923 (17,2%). დაცული ტერიტორიების ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 4 504 473 ლარი შეადგინა, ზრდა წინა წელთან შედარებით 94,7%-ია. შემოსავლების მხრივ საქართველოს მასშტაბით ლიდერობდა პრომეთეს მღვიმე, რომლის შემოსავალმა 1 887 064 ლარი შეადგინა, შემოსავლების რაოდენობით მთელი ქვეყნის მასშტაბით მესამე ადგილს იკავებს კვლავ ჩვენი საკვლევი რეგიონის -- იმერეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბუნების ძეგლი --- ოკაცეს კანიონი, რომლის ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2017 წელს 538 506 ლარი შეადგინა, საქართველოს მასშტაბით შემოსავლების რეიტინგში მომდევნო პოზიციას იხვე იმერეთის რეგიონის დაცული ტერიტორია -- სათაფლია იკავებს -- 499 019 ლარით. აღნიშნული სტატისტიკური მასალების საფუძველზე დაყრდნობით, შეიძლება ვიანგარიშოთ, რომ საკვლევი რეგიონის მხოლოდ 3 ბუნების ძეგლის -- პრომეთესა და სათაფლიის მღვიმეებისა და ოკაცეს კანიონის ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2 924 589 ლარი შეადგინა, რომელიც იმერეთის რეგიონის ბიუჯეტისათვის, ვფიქრობთ, საკმაოდ სოლიდური რიცხვი უნდა იყოს. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ რეგიონში საკმაოდ ბევრი სხვა ბუნების ძეგლებიცაა, მაგალითად, ახლად რეაბილიტირებული ნავენახევის და ახლადკეთილმოწყობილი საწურბლიას მღვიმეები, ასევე-ბორჯომ- ხარაგაულის ეროვნული პარკი და უამრავი სხვა.

В статье рассматриваются методы и технологии, которые позволяют не только очистить сточные воды от загрязнений, но и извлечь из них полезные вещества, в первую очередь металлы, которые могут быть снова направлены в производство. Помимо использования новых видов сорбентов, в последние годы для очистки сточных вод все шире применяются безреагентные технологии. Второе изобретение относится к биологической очистке сточных вод и касается, в частности, осуществления водоохраных мероприятий для обезвреживания загрязненных при сельскохозяйственном производстве вод.

Состояние природной среды зависит от степени ее загрязненности деятельностью человека. Немалый вклад в это создают промышленные предприятия, а в особенности – их сточные воды.

Очистка промышленных сточных вод – это актуальная проблема, методы решения которой продолжают развиваться. Современные очистные сооружения во многом превосходят своих предшественников. Во многом это связано с ужесточением природоохранного законодательства. Нормативы загрязняющих веществ становятся все более строгими, а штрафы за их невыполнение – все более дорогими. Поэтому даже для небольших предприятий так важно позаботиться об очистке своего стока.

Постоянное развитие сферы очистных сооружений позволяет с каждым годом улучшать показатели сбрасываемых сточных вод и извлекать из них ценные компоненты, дополнительно снижая стоимость их эксплуатации.

Благодаря этому предприятия избегают крупных штрафов и санкций, а также зарабатывают налоговые скидки из-за реализации природоохранных программ. Таким образом, качественная очистка промышленных стоков положительно влияет не только на окружающую среду, но и на бюджет предприятия

Современные технологии позволяют не только очистить сточные воды от загрязнений, но и извлечь из них полезные вещества, в первую очередь металлы, которые могут быть снова направлены в производство. Помимо использования новых видов сорбентов, в последние годы для очистки сточных вод все шире применяются безреагентные технологии, в частности, биотехнологии, основанные на использовании высших водных растений и микроорганизмов

К перспективным методам, не требующим дополнительных реагентов и дорогостоящего оборудования, относится метод фиторемедиации, предполагающий удаление токсичных соединений из почвы, грунтовых вод и водоемов при помощи

почвенных микроорганизмов и высших водных 17 растений, таких как эйхорния, ряска, лимнофила и др., которые являются фитосорбентами (см. рисунок 1 а,б)..



Рисунок 1 - Водные растения-фитосорбенты: а – эйхорния *Eichornia crassipes*, б – лимнофи

Поглощаясь растениями, токсиканты инактивируются, проходя разнообразные химические превращения, это долгий процесс, однако затраты на фиторемедиацию обычно не превышают 20% от стоимости альтернативных реагентных технологий. Погибшие и выработавшие жизненный ресурс растения – фитосорбенты, нетоксичны и могут быть использованы в качестве добавок к кормам животным и птицам, для получения компоста и биогумуса.


Применение сульфаторедуцирующих бактерий для очистки ССВ исключает затраты на химические реагенты, на техническую воду при полном.

оборотном водоснабжении, на отвод канализационных стоков, на захоронение осадков на полигонах, на штрафы за причиненный экологический ущерб. Данная биотехнология позволяет получать из сточных вод массы металла в виде товарного продукта. В настоящее время исследования и разработки в этой области направлены на разработку технологических схем, предотвращающих ингибирование бактерий находящихся в сточных водах ионами металлов, методов осаждения металлов из сточных вод, предотвращение загрязнения бактериями очищенных стоков и поиск дешевых источников питания для бактерий (органические загрязнения сточных вод, в частности горючесмазочные жидкости, хозяйственно-бытовые стоки и др.[1]

Второе изобретение относится к биологической очистке сточных вод и касается, в частности, осуществления водоохранных мероприятий для обезвреживания загрязненных при сельскохозяйственном производстве вод.

Устройство для биологической очистки сточных вод содержит расположенный на склоне с подстилающими водоупорными грунтами канал с культивируемыми в его русловой части водными растениями и засеянный влаголюбивыми многолетними травами склон с расположенным под ним фильтрующим слоем. Канал разбит на отдельные секции, расположенные одна ниже другой. Секции последовательно соединены между собой водопропускными трубами и слоями фильтрующего материала. Водопропускные трубы соединяют начало одной секции с концом другой. Устьевые части труб оборудованы насадками-аэраторами. Фильтрующие слои расположены на подстилающих водонепроницаемых грунтах. Поверхность фильтрующего слоя покрыта растительным субстратом, на котором культивируют влаголюбивые многолетние травы. Культивируемая в каналах водная растительность размещается зонально: в верхних секциях - рогоз узколистный; далее, последовательно сверху вниз - камыш озерный, элодея канадская, ряска маленькая, а в нижних секциях - растения-индикаторы чистоты воды.

Технический результат: повышение эффективности очистки, надежности работы и стабилизации пропускной способности сооружения путем создания оптимальных условий существования биогеоценозов водной растительности и влаголюбивых трав, а также постоянной аэрации очищаемых вод..



Фиг.1

Рисунок 2. Устройство для биологической очистки сточных вод.

Предлагаемое изобретение относится к области биологической очистки сточных вод и может быть использовано при осуществлении водоохранных мероприятий для обезвреживания загрязненных при сельскохозяйственном производстве вод, в частности, дренажного и поверхностного стока с сельскохозяйственных угодий, ливневых и талых вод с территорий объектов инфраструктуры сельскохозяйственного производства; хозяйственно-бытовых сточных вод небольших поселков.[2]

ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. ინტერნეტ მასალა-
https://promwater.ru/projects/promyshlennost/mup_biologicheskie_ochistnye_sooruzheniya/
2. ინტერნეტ მასალა-<https://kvanta.ru/ochistka-vody/promyshlennye-stochnye-vody-normativy-i-metody-ochistki>
3. ნ. ნაცვლიშვილი, ლ. კლიმიაშვილი, მ. ნაცვლიშვილი, დ. გურგენიძე. წყალმომარაგებისა და წყალარინების საფუძვლები. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2009, 379 გვ.

ეკოლოგია

ჩამდინარე წყლების დამუშავების მეთოდები**ნ. კამკამიძე**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რეზიუმე

სტატიაში განხილულია ისეთი მეთოდები და ტექნოლოგიები, რომლებიც საშუალებას იძლევა არა მარტო გაიწმინდოს გაჭუჭყიანებული წყლები ნარჩენებისაგან, არამედ მოხდეს მათგან სასარგებლო ნივთიერებების ამოღება, პირველ რიგში, ლითონებისა, რომელთა ხელახლა გამოყენება შესაძლებელია წარმოებისთვის. საწარმოო ჩამდინარე წყლების გასუფთავების ახალი ტიპის სორბენტების გამოყენების გარდა, ბოლო წლებში, გვხვდება გაწმენდა რეაგენტების გარეშე. მეორე გამოგონება ეხება ჩამდინარე წყლების ბიოლოგიურ დამუშავებას და, კერძოდ, ეხება წყლის დამცავი ღონისძიებების განხორციელებას სოფლის მეურნეობის წარმოების დროს დაბინძურებული წყლის გაუნებელყოფას.

Ecology

INDUSTRIAL WASTEWATER TREATMENT METHODS**N. KAMKAMIDZE**

Akaki Tseretka State University

Summary

The article discusses methods and technologies that allow not only cleaning wastewater from pollution, but also extracting useful substances from them, primarily metals, which can again be sent to production. In addition to the use of new types of sorbents, in recent years, reagentless technologies have been increasingly used for wastewater treatment. The second invention relates to the biological treatment of wastewater and relates, in particular, to the implementation of water protection measures for the disposal of water contaminated during agricultural production.

ქიმიური ინჟინერია

მძიმე მეტალები და ადამიანის ორგანიზმი

ა. გამყრელიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მძიმე მეტალები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ადამიანის ორგანიზმში, ამ ელემენტების მცირე რაოდენობა აუცილებელია ცოცხალი ორგანიზმისთვის, ხოლო ჭარბი რაოდენობა კი მწვავე ან ქრონიკულ მოწამვლას იწვევს. დადგენილია, რომ სიცოცხლისათვის აუცილებელი (ესენციალური) ელემენტები ადამიანის ორგანიზმში იმყოფებიან მუდმივი კონცენტრაციით.

მეტალების დაგროვება ადამიანის ორგანიზმში შეიძლება გამოწვეული იყოს ბუნებრივი ფაქტორებით ან ტექნოგენური დაბინძურებით. საყურადღებოა მძიმე მეტალების და მათი ნაერთების ზემოქმედება ბავშვებსა და მოზარდებზე.

განხილულია ზოგიერთი მძიმე მეტალის, როგორც მიკროელემენტის, მნიშვნელობა ცოცხალი ორგანიზმისათვის.

ტოქსიკურ ნივთიერებებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ მძიმე მეტალები და მათი ნაერთები, რომლებიც ფართოდ გამოიყენებიან სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში და არანაკლები გამოყენება აქვთ ფარმაცევტულ მრეწველობაში. განსაკუთრებულ ყურადღებას შემდეგი მძიმე მეტალები იმსახურებენ: Hg, Ag, As, Bi, Zn, Sb, As, Ge, Cu, Cr, Co, Ni, Pb, Fe, Mn, Te, Th, Sn, U და სხვ. ამ ელემენტების უმეტესობა, განსაზღვრული მცირე რაოდენობით, ცოცხალი ორგანიზმის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენენ, მაგრამ ნებისმიერი მათგანის ჭარბი კონცენტრაცია მწვავე ან ქრონიკულ მოწამვლას იწვევს. ადამიანის და ცხოველის ორგანიზმში მძიმე მეტალები სერიოზულად აზიანებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, ცვლის სისხლის შემადგენლობას, უარყოფით გავლენას ახდენს ღვიძლის, ფილტვების, თირკმლების და სხვა ორგანოების ფუნქციონირებაზე. შეუძლიათ გამოიწვიონ მწვავე ფიზიოლოგიური ცვლილებები: ავთვისებიანი სიმსივნის წარმოქმნა, ალერგია, დისტროფია და სხვა.

ამჟამად ადამიანის ორგანიზმში აღმოჩენილია დ.ი. მენდელეევის პერიოდული სისტემის 81 ელემენტი.


განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებენ მიკროელემენტები. მიკროელემენტების შემცველობა ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში მერყეობს 10^{-5} - 10^{-20} %-ის ფარგლებში. თუ ელემენტის შემცველობა ორგანიზმში დაბალია 10^{-5} %-ზე, მას მიაკუთვნებენ ულტრამიკროელემენტებს.

აუცილებელ (ესენციალურ) შეუცვლელ მიკროელემენტებს მიეკუთვნება მეტალები: Cu, Zn, Fe, Co, Mo, Mn. ამ ბიოტურ ელემენტებს სიცოცხლის მეტლებს ან სასიცოცხლოდ აუცილებელ მიკროელემენტებს უწოდებენ.

სიცოცხლისათვის აუცილებელი ელემენტები ორგანიზმში იმყოფებიან მუდმივი კონცენტრაციით. მათი კონცენტრაციის შემცირება ცვლის ამ ელემენტების პროფილს მთლიანობაში და იწვევს მათი უკმარისობის სიმპტომების გაჩენას.

ორგანიზმში მუდმივად არსებული ელემენტები, რომელთა ბიოლოგიური როლი ჯერ კიდევ საბოლოოდ დადგენილი არ არის წოდებულია „მინარევ“ ელემენტებად. მათი რაოდენობა ადამიანის ორგანიზმში საკმაოდ მცირეა. ქიმიური ელემენტების დაყოფა აუცილებელ და მინარევ ელემენტებად პირობითია.

დადგენილ იქნა, რომ სამრეწველო რეგიონების მაცხოვრებლებში ასაკის მომატებასთან ერთად ადგილი ჰქონდა ზოგიერთი მინარევი ელემენტის რაოდენობის მომატებას, განსაკუთრებით მეტალურგიულ და გალვანური საწარმოების მუშებში; განსაკუთრებით მაღალი იყო მათ ძელოვან ქსოვილებში კადმიუმის, ბარიუმის, სტრონციუმის და ტყვიის შემცველობა; მაშინ როდესაც ამ ელემენტების დაბალი შემცველობა აღინიშნებოდა იგივე რაიონის სოფლის მაცხოვრებლებს შორის.



ნახ.1 ჰიპერმიკროელემენტოზის მაგალითები


მეტალების დაგროვება ცოცხალ ორგანიზმში შეიძლება გამოწვეული იყოს ბუნებრივი ფაქტორებით ან ტექნოგენური დაბინძურებით. ამ დროს წარმოიქმნება დაავადებები, რომლებსაც უწოდებენ ჰიპერმიკროელემენტოზებს. ეს დაავადებები გამოწვეულია ორგანიზმში ამა თუ იმ ელემენტის ჭარბი რაოდენობით. (ნახ.1)

ცოცხალ ორგანიზმებში მოხვედრისას შესაძლებელია მძიმე მეტალების და მათი ნაერთების შედგენილობის და ფორმის ცვლილება, ისინი შეიძლება ადამიანის ორგანიზმში მოხვდნენ, როგორც აეროზოლების სახით სასუნთი გზებიდან და კანიდან, ასევე საჭმლის მომწელებელ სისტემაში წყალთან და საკვებთან ერთად. სისხლში მოხვედრის შემდეგ კი გადადიან და ნაწილდებიან სხვადასხვა ორგანოებში და ქსოვილებში (იხ.ნახ.2).

განსაკუთრებით საყურადღებოა მეტალების და მათი ნაერთების ზემოქმედება ბავშვების და მოზარდების ორგანიზმზე. აქტიური ზრდა და უჯრედების სწრაფი დაყოფა ბავშვის ორგანიზმში ქმნის ხელსაყრელ პირობებს მეტალების გენოტოქსიკური ზემოქმედებისათვის.

აღკოპოლის მიღება და თამბაქოს მოწევა უარყოფით ზეგავლენას ახდენს მეტალების ბიოლოგიურ აქტიუობაზე. სივარეტის კვამლი შეიცავს ტოქსიკურ

მეტალებს, რომლებიც ხვდებიან ადამიანის ფილტვებში, ხოლო ალკოჰოლის გადამეტებული მიღება იწვევს ძირითადი საკვები ნივთიერებების და მიკროელემენტების შემცირებას, რაც უარყოფითად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე (ნახ 2)



ნახ.2 მეტალური შხამების განაწილება ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ

მედიცინაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ მძიმე მეტალების შემცველი ანტისეპტიკური საშუალებები. ანტისეპტიკურ საშუალებებს არ გააჩნიათ შერჩევითი მოქმედება მიკროორგანიზმებზე. მათი ანტისეპტიკური მოქმედების მექანიზმი მდგომარეობს მიკროორგანიზმების ფერმენტების სულფიდური ჯგუფების ბლოკირებაში. მიკროორგანიზმის ცილასთან შეერთებისას ისინი წარმოშობენ ალბუმინატებს და თავისუფალ მჟავას. შემკერული ეფექტით ხასიათდებიან ტყვიის, ალუმინის და ბისმუტის პრეპარატები, რომლებიც იწვევენ ცილების დალექვას, სისხლძარღვების შევიწროებას, ქსოვილების ზედაპირზე წარმოიქმნება ერთგვარი გარსი - აფსკი.

მაღალი ანტიმიკრობული აქტივობით ხასიათდება ორქლორიანი ვერცხლისწყალი - სულემა. ის წყალში კარგად იხსნება, ახასიათებს მაღალი

ანტიმიკრობული აქტივობა, გამოიყენება ქირურგიაში ხელების კანის, ჭურჭლის და სათავსოს სადეზინფექციოდ. არ არის რეკომენდირებული მეტალის საგნების დასამუშავებლად, რადგან იწვევს მათ კოროზიას.

ვერცხლის ანტისეპტიკურ პრეპარატებს მიეკუთვნება ვერცხლის ნიტრეტი(ლიაპისი), პროტორგოლი (ვერცხლის პროტინეტი), კოლარგოლი (კოლოიდური ვერცხლი). ამ პრეპარატებს გააჩნიათ ანტიმიკრობული, შემკვრელი და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება.

სპილენძის და თუთიის შემცველი ფარმაცევტული პრეპარატები ხასიათდებიან გამაღიზიანებელი მოქმედებით, წარმოშობენ მკვრივ ალუმინატებს. სპილენძის სულფატის 0,25%-იანი ხსნარი გამოიყენება, როგორც შემკვრელი და ანტისეპტიკური საშუალება, ფოსფორით დამწვრობის დროს კი გამოიყენება მისი 5%-იანი ხსნარი.

თუთიის სულფატი (0,1-0,5% ხსნარი) გამოიყენება თვალის წვეთების სახით. ქრონიკული კატარის ლარინგიტის დროს (0,2 – 0,5% ხსნარი) დიდ დოზებში, როგორც პირსადებინებელი საშუალება. თუთიის ოქსიდი გამოიყენება მალამოების, პასტების, ფხვნილის სახით, როგორც შემკვრელი, სადეზინფექციო და გამშრობი საშუალება.

ბისმუტის, ალუმინის და ტყვიის პრეპარატები წარმოშობენ მკვრივ ალუმინატებს. ბისმუტის პრეპარატებია : ბისმუტის ფუძე-ნიტრეტი, ქსეროფორმი და დერმატოლი.

ტყვიის პრეპარატებიდან სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება ტყვიის აცეტეტი.

მძიმე მეტალების, როგორც მიკროელემენტების, მნიშვნელობა ცოცხალი ორგანიზმებისათვის, კერძოდ ადამიანისთვის, განუზომლად დიდია. ქრომი გლუკოზის ტოლერანტული ფაქტორია (GTF). ის წარმოქმნის კომპლექნაერთებს ნიკოტინთან, გლიცინთან, ცისტეინთან. მისი თანაობისას აქტივდება ინსულინის მოქმედება, გავლენას ახდენს ნახშირწყლების, ლიპიდების, ცილების მეტაბოლიზმზე. მისი გავლენით სისხლში მცირდება ინსულინის გლუკოზის რაოდენობა.

ძალზე მნიშვნელოვანია სპილენძის ნაკლებობა ახალშობილებში, რომლებიც დედის რძით იკვებებიან. რკინის მსგავსად სპილენძის შემცველობა დედის რძეში მცირეა. ამიტომ ახალშობილები სპილენძის მარაგით იბადებიან. სპილენძი მონაწილეობს ისეთი ენზიმების შენებაში, როგორიცაა ტიროზინაზა, ურატოქსიდაზა, ამინოქსიდაზა, ასკორბატოქსიდაზა და სხვ.

დადგენილია, რომ სპილენძის დეფიციტისას ქვეითდება ჰემოგლობინის სინთეზი, ფერხდება ზრდა, ირღვევა ნერვული და კუნთოვანი ქსოვილების მოქმედება.

მიკროელემენტი მოლიბდენი მოქმედებს როგორც ენზიმების კოფაქტორი. ის მონაწილეობს პურიის, პირიმიდინის, პტერინიდისა და მათთან დაკავშირებული ნივთიერებების დეტოქსიკაციის პროცესებში. მოლიბდენის დეფიციტისა და სპილენძის ნაკლებობისას ზიანდება ძვლები და კუნთები. მოლიბდენი მონაწილეობს ქსანტინოქსიდაზას შენებაში.

თუთია ორგანული კომპლექსების სახით თითქმის ყველა ცოცხალ უჯრედშია. ის ადვილად ადსორბირდება ორგანიზმის მიერ. თუთია უპირატესად პეპტიდებს უკავშირდება. თუთია უზრუნველყოფს ინსულინის ჰორმონულ აქტივობას. ის დიდი რაოდენობითაა სასქესო და კუჭქვეშა ჯირკვლებში, სპერმაში, ღვიძლში და სხვა. ადამიანში თუთიის ნაკლებობა იწვევს ალოპეციას, ქათმის სიბრმავეს,

იმპორტენციას, ზრდის შეჩერებას. ქვეითდება იმუნური აქტივობა, ჭრილობის შეხორცების პროცესი, მადა და სხვ. თუთიის დღიური ნორმა შეადგენს 5-10 მგ-ს. თუთიით მდიდარი პროდუქტებია სოიო და ნუში.

მიკროელემენტი კობალტი მონაწილეობს ანტიანემიური ვიტამინ B₁₂-ის წარმოქმნაში. მისი ნაკლებობისას აღინიშნება სისხლის წარმოქმნის შეკავება-შემცირება და ნერვიული სისტემის ფუნქციის დაქვეითება.

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ კნორტეს (1974) სტრესინდექსის თანახმად, მძიმე მეტალებს, როგორც ტოქსიკურ ნივთიერებებს მესამე ადგილი უკავია. ისინი სხვადასხვა გზით ხვდებიან ადამიანის ორგანიზმში და გარემოში. მძიმე მეტალების უმეტესობა ადვილად იხსნება ლიპიდებში და ცხიმებში, რის გამო ხდება მათი დაგროვება უჯრედშიდა გარემოში. ტოქსიკური მძიმე მეტალები ასევე აკუმულირდებიან ჰიდრობონტებში, იქიდან კი კვებითი ჯაჭვით ხვდებიან ადამიანის ორგანიზმში. მძიმე მეტალები განსაკუთრებით საშიშია კათიონური და ნახშირწყალბადებთან დაკავშირებული ფორმების სახით.

მძიმე მეტალების, როგორც მიკროელემენტების, არსებობა ცოცხალი ორგანიზმისათვის აუცილებელია, მათი ნაკლებობა კი სხვადასხვა დაავადების გამომწვევია.

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. ე. გამყრელიძე, ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებები. თბილისი, „საქართველოს მაცნე“, 2002
2. ე.გამყრელიძე, ტოქსიკური ნივთიერებები. ქუთაისი, 2014.
3. Крамаренко В.Ф. Токсикологическая химия. М. Высшая школа 1989.
4. Скальный А.В. Химические элементы в физиологии и экологии человека. М. Изд.дом «ОНИКС» 2004.

Химическая инженерия

ТЯЖЕЛЫЕ МЕТАЛЛЫ И ОРГАНИЗМ ЧЕЛОВЕКА Г.АМკრელიძე E.

Государственный Университет Акакия Церетели
Резюме

Тяжелые металлы играют особую роль в жизни человека. Их малое количество необходимо для жизнедеятельности организма, а избыток вызывает острые или хронические отравления. Установлено, что жизненно необходимые (эссенциальные) элементы в организме человека находятся в постоянной концентрации. Накопление металлов в организме человека может быть вызвано природными факторами, а также техногенным загрязнением. Следует учитывать влияние тяжелых металлов и их соединений на организм детей и подростков. Рассмотрено влияние некоторых металлов, как микроэлементов, человеческого организма.

Chemical engineering

HEAVY METALS AND THE HUMAN BODY E. GAMKRELIDZE

Akaki Tsereteli State University
Summary

Heavy metals play a special role in the human body, a small number of these elements are essential for the living organism, while their excessive amounts lead to acute or chronic intoxication. It has been established that the elements essential for life are present in the human body at a constant concentration.

The accumulation of metals in the human body can be caused by natural factors or man-made contamination. The effects of heavy metals and their compounds on children and adolescents are noteworthy. The paper dwells on the importance of some heavy metals as microelements for living organisms.

ლიზინგი - სამეწარმეო საქმიანობის ტექნიკური ხელშეწყობის გზა

თ. ნაღირაძე-ბობოლაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია მცირე ბიზნესის სუსტი მხარეები. აღნიშნულია ის დადებითი მომენტები რომელიც შეუძლია შეიტანოს ძლიერ მცირე ბიზნესს ქვეყნის განვითარებაში. განხილულია ლიზინგი, როგორც ბიზნესის ტექნიკური უზრუნველყოფის ერთ-ერთი გზა და ლიზინგის განვითარების პრობლემები.

საბაზრო ურთიერთობების განვითარება გვთავაზობს საკუთრების მრავალი ფორმის თავისუფალ თანაარსებობას და განვითარებას. საბაზრო სისტემა შედგება მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესისაგან. თითოეულ ამ ჯგუფს გააჩნია თავისი თავისებურებები და შინაგანი ინტერესები, რომელიც ეხება განვითარების სტრატეგიას და სახელმწიფოს და მის მიერ გატარებული პოლიტიკისადმი დამოკიდებულებას.

მცირე ბიზნესი არის მცირე მეწარმეების ყველაზე მრავალრიცხოვანი ფენა, რომელიც თავისი რაოდენობით მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და ნაწილობრივ პოლიტიკურ დონეს. მას მიეკუთვნება მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ფართო სპექტრით წარმოადგენს საქონლის, როგორც მწარმოებელს ისე მომხმარებელს. მისი პატარა ზომის ტექნოლოგიური, საწარმოო და სამმართველო მოქნილობის გამო მცირე საწარმოებს შეუძლიათ დროულად მოახდინონ რეაგირება ცვალებად საბაზრო მოთხოვნებზე, მაგრამ ახლა მინდა შევეხო მის სუსტ მხარეებს. ესენია:

- სამეწარმეო უნარებისა და გამოცდილების ნაკლებობა.
- კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე.
- დაბალი პროდუქტიულობა.
- ფინანსებზე/გრძელვადიან საინვესტიციო რესურსებზე შეზღუდული წვდომა.
- ინოვაციების და კვლევის დაბალი დონე.
- კვლევისა და განვითარების ინსტიტუტებისა და კერძო სექტორის არასაკმარისი თანამშრომლობა.
- ტექნოლოგიების დანერგვის შეზღუდული შესაძლებლობები.
- ადამიანური კაპიტალის არასაკმარისი კონკურენტუნარიანობა.
- უცხოური ბაზრების შესახებ ცოდნის დაბალი დონე.
- ექსპორტისა და ინტერნაციონალიზაციის შეზღუდული შესაძლებლობა.
- ახალი ტექნოლოგიების/ძირითადი საშუალებების მაღალი ხარჯი.
- მცირე და საშუალო საწარმოების საკონსულტაციო მომსახურების მაღალი ღირებულება.

- ბიზნესის დახურვის სირთულე.

მეწარმეობის პრობლემებს ახასიათებს მასშტაბურობა, სირთულე და მრავალსახეობა რაც კომპლექსური პროგრამული მიდგომის საჭიროებას წარმოშობს. გარდა ამისა აუცილებლობას წარმოადგენს კოორდინაციაში არასამთავრობო ორგანიზაციების მაგალითად მეწარმეთა კავშირის ჩარევა.

მცირე ბიზნესი არის სამეურნეო საქმიანობის რესურსდამზოგი ფორმა, რომელიც დღესდღეობით დგას მრავალი პრობლემის წინაშე. მათ შორის აღსანიშნავია ფინანსური რესურსების, ბიზნესის მდგრადობის, მსხვილი საწარმოების ჯაჭვში ჩართვის პრობლემა. ისტორიულმა კატაკლიზმებმა უარყოფითად იმოქმედეს მსხვილი ბიზნესის არსებობაზე. ამ მოვლენებს საქართველოში განსაკუთრებით დიდი ზეგავლენა ჰქონდა საკუთრების ფორმის ჩამოყალიბების პროცესზე.

არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციონირებას, ამ ზომის საწარმოები ავსებენ მსხვილ ბიზნესებს შორის ნიშებს. მცირე და საშუალო ბიზნესი უზრუნველყოფს სულ უფრო მეტი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მცირე ბიზნესის კონკურენტუნარიანობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- მას გააჩნია შესაძლებლობა შედარებით მცირე თანხებით მოხდეს საწარმოს სრული ტექნიკური უზრუნველყოფა;
- არსებობს მეტი შესაძლებლობა მეცნიერებატევადი მომსახურებისა;
- არსებობს სატანდარტული მომსახურების ნაცვლად პერსონიფიცირებული მომსახურების მიღების საშუალება;
- მცირე და საშუალო საწარმოები მობილიზებული არიან რეგიონული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე და ამით ხელს უწყობენ რეგიონის განვითარებას.

თუმცა მიუხედავად აქ ჩამოთვლილი დადებითი ფაქტორებისა მცირე და საშუალო ბიზნესი ბევრი პრობლემის წინაშე დგას, მათ შორის:

1. ნაკლებია საფინანსო სექტორის ნდობა და შესაბამისად ფინანსური რესურსების წვდომა, მაღალია საპროცენტო განაკვეთი.
2. ნაკლებად ხელმისაწვდომია ინოვაციები.
3. დიდი პრობლემებია მცირე და საშუალო საწარმოს მენეჯმენტში.
4. არ არსებობს კავშირი და შესაბამისად ინფორმაციის გაცვლის დეფიციტია სამეწარმეო სუბიექტებს შორის.
5. ძნელია ქვეყნის ბაზარზე დამკვიდრება, საერთაშორისოზე გასვლა უფრო რთული.
6. პროფესიული კადრების სიმცირეა.

თუ მსხვილი ბიზნესი ხელს უწყობს საერთო სამეურნეო ეფექტურობის ამაღლებას სამეურნეო საქმიანობის მასშტაბების ხარჯზე, მცირე ბიზნესი მეურნეობას ანიჭებს მოქნილობას და მობილურობას. მცირე საწარმოებს დიდი სოციალური მნიშვნელობა გააჩნიათ, რომელიც შემდეგში გამოიხატება :

- ქმნიან მცირე მესაკუთრეების დიდ ფენას.
- ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს , შესაბამისად ამცირებენ უმუშევრობის სოციალურ დაძაბულობას და ხელს უწყობენ ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას .

- იცვლება საერთო საზოგადოებრივი ფსიქოლოგია. მცირე ბიზნესი საშუალებას აძლევს ადამიანს გამოავლინოს საკუთარი მეწარმობრივი შესაძლებლობები.
- უფრო მასშტაბური ხდება ცოდნის, გამოცდილების, ენერჯის და შრომისუნარიანობის გამოყენება.

მცირე საწარმოებისათვის მაღალტექნოლოგიური ძირითადი ფონდების უკმარისობის პრობლემა შეიძლება გადაიჭრას მოწყობილობის ლიზინგით, რომლის საშუალებითაც მცირე საწარმოები, რომლებსაც საკმარისი სახსრები არ გააჩნიათ მაღალტექნოლოგიური აპარატურის შესყიდვისა და საბანკო რესურსებიც მიუწვდომელია, საშუალება ეძლევათ გამოიყენონ ახალი პროგრესული აპარატურა და ტექნოლოგიები

ლიზინგი მცირე საწარმოებს დამატებით შესაძლებლობებს სთავაზობს, თანაც ამცირებს რისკის ცალკეულ ფაქტორებს ინვესტიციური ბაზრის წარმომადგენლებისათვის. ლიზინგი საშუალებას იძლევა შემცირდეს ძირითადი ფონდებისათვის საჭირო ინვესტიციების თანხის მოძიება. მაძიებლებს სთავაზობს ინვესტიციის სახით არა ფულად სახსრებს არამედ მანქანა-დანადგარებს, რომელიც გირაოს სახითაც შეიძლება იქნას გამოყენებული. ამით შესაძლებელი ხდება დარჩენილი სახსრები უფრო მოქნილად იქნას განკარგული.

სამწუხაროდ, თანამედროვე სალიზინგო კომპანიები არ არიან ორიენტირებული მცირე საწარმოებზე, როცა საზღვარგარეთის ქვეყნების მცირე საწარმოებზე მოდის სალიზინგო გარიგების 60-80%.

მცირე საწარმოების თითქმის 80% საჭიროებენ სალიზინგო მხარდაჭერას როგორც უცხოური კომპანიებიდან, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებიდანაც. სალიზინგო მომსახურების მოთხოვნა- მიწოდებას შორის არსებობს დიდი განსხვავება. განსაკუთრებით ჭარბობს სალიზინგო მიწოდება ქალაქად, რაც განაპირობებს სოფლად მოთხოვნა-მიწოდების დისპროპორციას. ამუამად ბანკები იწყებენ სალიზინგო პროგრამების შემოთავაზებას, მაგრამ ეს მხოლოდ ჩანასახის პროცესშია. სალიზინგო მომსახურების განუვითარებლობის მიზეზებია: გრძელვადიანი დაფინანსების დაბალი მიღწევადობა; სასამართლოში საკუთრების დაცვის სისტემის არარსებობა. ლიზინგის გამცემი ბევრ პრობლემას აწყდება სალიზინგო ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში ქონების უკან დაბრუნებაზე; არ არის განვითარებული დანადგარების მეორადი ბაზარი; სალიზინგო მომსახურების შესახებ არსებობს მწირი ინფორმაცია და იგი საჭიროებს პოპულარიზაციას; კარგად არ არის დამუშავებული სალიზინგო ხელშეკრულებების მომზადების ნორმატიული ბაზა; ყოველივე ეს დიდ პრობლემებს უქმნის მეწარმეობის ტექნიკურ უზრუნველყოფას და შესაბამისად აფერხებს განვითარების პროცესს.

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. ედუისაძე, ნ.ჩხლაძე, კვაბელაშვილი შესავალი ეკონომიკასა და ბიზნესში. ქუთაისის უნივერსიტეტი. ქუთაისი 2012წ
2. Анпилов А.И. Проблемы малого предпринимательства в национальной экономике. Актуальные проблемы современной науки. М. 2006 №6
3. Верёвкин Л.П. Что мешает развитию малого бизнеса: мнения предпринимателей. Мониторинг общественного мнения. М. 2003 №5-6.

Экономика и бизнес

**ЛИЗИНГ - СПОСОБ ТЕХНИЧЕСКОГО ОБЕСПЕЧЕНИЯ
ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСКОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ****Т. НАДИРАДЗЕ-ГОГОЛАДЗЕ**

Государственный Университета Акакия Церетели

Резюме

В статье рассматриваются слабые стороны малобизнеса. Выделены какие положительные моменты может внести сильный малый бизнес в развитие страны. Рассмотрен лизинг как техническое обеспечение бизнеса. Проблемы развития лизинга в Грузии.

Economics & business

LEASING - WAY OF TECHNICAL SUPPORT, FOR ENTREPRENEURIAL ACTIVITIES**T. NADIRADZE-GOGOLADZE**

Akaki Tsereteli State University

Summary

The article discusses weaknesses of small businesses. It highlights the positive moments small business can contribute to the development of the country. Underlines Leasing as one of the ways to provide businesses with technical support, as well as the problems of leasing development itself.

ქიმიური ინჟინერია

სატაცურის სასარგებლო თვისებები

ბ. ბორბოკი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია სამკურნალო სატაცურის (Asparagus officinalis) სასარგებლო თვისებები და პოტენციური თერაპევტული ეფექტები.

სატაცური საკმაოდ ძველი და საინტერესო ბოსტნეულია, რომელიც მრავალი სასარგებლო თვისებით გამოირჩევა. მას ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელები და შუმერები მოიხმარდნენ. ამ მცენარის 200-მდე სახეობა არსებობს და აქედან 3 სახეობა გვხვდება საქართველოში. გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და აფრიკაში, უპირატესად მშრალი ჰავის პირობებში. სატაცური ძალზე დატოტვილი ბალახების ან ნახევრად ბუჩქების სახით გვხვდება. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს სამკურნალო სატაცურს (Asparagus officinalis), რომელიც მოჰყავთ, როგორც ბოსტნის კულტურა და საკვებად გამოიყენებენ მის ქორფა, წვნიან ყლორტებს. სატაცურის ფესვები და ყლორტები, ალკალოიდ ასპრაგინის წყალობით, სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს.

სატაცურის ზოგიერთ სახეობას დეკორატიული დატვირთვა გააჩნია. სატაცური ადრე გაზაფხულზე შემოდის და მისი შეგროვება უკვე მარტიდან შეიძლება. გვხვდება 2 სახის, მწვანე და თეთრი სატაცური (ნახ. 1,2). დიდი ხნის მანძილზე უპირატესობას ანიჭებდნენ თეთრ სატაცურს, რომელსაც არისტოკრატების საკვებად თვლიდნენ და მისგან კერძებს ევროპის საუკეთესო რესტორნებში ამზადებდნენ. დროთა განმავლობაში მწვანე სატაცურმა სტერეოტიპი დაარღვია და თავისი მნიშვნელობით თეთრს გაუთანაბრდა. მწვანე სატაცური უფრო მკვეთრი გემოთი გამოირჩევა და მეტი სასარგებლო თვისების მატარებელია, რაც, უპირველესად, მასში ქლოროფილის არსებობითაა განპირობებული.

საქართველოში სატაცური სეზონური პროდუქტია, რომელიც საკმაოდ მწირი რეცეპტების ფონზე განსაკუთრებული პოპულარობით არ სარგებლობს. ვახუშტი ბატონიშვილი სატაცურს მხალეულს მიაკუთვნებდა. არქანჯელო ლამბერტი აღწერს, რომ ამ მცენარით მოფენილი იყო მთელი სამეგრელოს ზღვის სანაპირო. ივანე ჯავახიშვილის ცნობით, სატაცური ძველთაგანვე ფართოდ ყოფილა ჩვენში გავრცელებული. მეცნიერის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მცენარის შესახებ წერილობითი ცნობები მხოლოდ XVIII საუკუნიდან მოიპოვება, მცენარის ქართული სახელწოდებაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ მცენარეს უძველესი დროიდან მოიხმარენ საქართველოში. ეს ფაქტი ივანე ჯავახიშვილს დასაბუთებული აქვს იმითაც, რომ სატაცურის ქართული სახელწოდება არც ერთ უცხოურ დასახელებას არ წააგავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უბრალო ჯიშებთან ერთად თეთრი სატაცურიც ყოფილა გავრცელებული, რომელიც უფრო ძვირფას სახეობად ითვლებოდა.

სატაცური არსებობს ველური სახითაც. რაც შეეხება ე.წ. “კორეულ სატაცურს,” მას არაფერი აქვს საერთო ჩვეულებრივ სატაცურთან და მისი ნამდვილი დასახელებაა ფუპი ან ფუჩუ. ეს პროდუქტი მზადდება სოიის რძის ნაღებისაგან, რომელსაც აშრობენ და წნეხავენ.



ნახ.1. მწვანე სატაცური



ნახ.2. თეთრი სატაცური

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ამ ბოსტნეულის ნათესები 2007-2015 წლებში, დაახლოებით, 1 400 ათასი ჰა-დან 1 450 ათას ჰა-მდე, ხოლო წარმოება 7,1 მილიონი ტონიდან - 7,9 მილიონ ტონამდე გაიზარდა. ყველაზე მსხვილი მომხმარებლები აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, იაპონია, ჩინეთი და ა.შ. ყველაზე მსხვილი მწარმოებლები ჩინეთი (70 ათასი ჰა), პერუ (25 ათასი ჰა), გერმანია (22 ათასი ჰა) და მექსიკა (16 ათასი ა).

სატაცურის იმპორტმა ევროკავშირში 2016 წელს 184,4 მილიონი ევრო შეადგინა (36,3 ათასი ტონა). 2010 წლიდან მისი მოცულობა ევროკავშირში სტაბილურად 34-36 ათასი ტონის ფარგლებში მერყეობს, სამაგიეროდ, გაიზარდა ღირებულებით გამოხატულებაში - 122 მილიონი ევროდან 184 მილიონ ევრომდე.

შესაბამისად, თუ 2010 წელს ევროკავშირში შეტანილი 1 კგ სატაცურის საშუალო ღირებულება 3,3 ევრო იყო, 2016 წელს - 5 ევრომდე გაიზარდა.

ძირითადი იმპორტიორები არიან:

1. ინგლისი: სატაცურის იმპორტი 2010 – 2016 წლებში 9 ათასი ტონიდან - 11,4 ათას ტონამდე გაიზარდა (ჯამში, 64,1 მილიონი ევრო);
2. ესპანეთი: სტაბილურად 10,7 ათასი ტონა წელიწადში (45 მილიონი ევრო);
3. ნიდერლანდები: ბოლო ექვსი წლის განმავლობაში იმპორტი შემცირდა 12,8 ათასი ტონიდან - 10,1 ათას ტონამდე (53 მილიონი ევრო);

ბელგიაში შეტანილი სატაცურის მოცულობა ბოლო ექვსი წლის განმავლობაში 998 ტონიდან - 1789 ტონამდე გაიზარდა, გერმანიაში კი -780 ტონიდან 1070 ტონამდე.

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში, რომელიც სატაცურის ერთ-ერთი უმსხვილესი მომხმარებელია („ბოსტნეულის მეფედ“ აღიარებენ), ამ კულტურის ნათესები ყოველწლიურად იზრდება და ბოსტნეულში ყველაზე დიდი წილი - 21%-უკავია. ფედერალური სტატისტიკის სამსახურის (ესტატის) ინფორმაციით, 2016 წელს წინა წელთან შედარებით, სატაცურის ნათესები ქვეყანაში 5%-ით გაიზარდა და 27 ათას ჰა-ს მიაღწია, საერთო მოსავალმა კი - 120 ათას ტონას. აღსანიშნავია, რომ გერმანელები, ძირითადად (80%), „თეთრ სატაცურს“ ანიჭებენ უპირატესობას, ბრიტანელებისგან განსხვავებით, რომლებიც ექსკლუზიურად მწვანე სატაცურს მოიხმარენ.

სატაცურს მრავალი სასარგებლო თვისება გააჩნია. მას ორგანიზმი ადვილად ითვისებს, დაბალკალორიულია, შეიცავს B₁, B₂, B₉, C, E, A, PP ვიტამინებს, მაკრო და მიკროელემენტებს – თუთიას, კალიუმს, ფოსფორს, კალციუმს, მაგნიუმს, რკინას, ცილებსა და ნახშირწყლებს. განსაკუთრებით მდიდარია ასპარაგინით, რომელიც აფართოებს სისხლძარღვებს, აქვეითებს არტერიულ წნევას, ხელს უწყობს ორგანიზმიდან მავნე ნივთიერების – ამიაკის – გამოდევნას. ასევე სატაცურს გააჩნია ანტიბიოტიკური სოკოს საწინააღმდეგო ეფექტი.

სატაცურით კვებას უნიშნავენ ინფარქტ გადატანილებს, გულის კუნთების მუშაობის სტიმულირებისათვის. მიუხედავად მრავალი დადებითი თვისებისა, სატაცურის ჭამას არ ურჩევენ მათ, ვისაც კუჭის ან თორმეტკოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება აქვს.

კორეის ეროვნული უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჩაატარეს სატაცურის სასარგებლო თვისებების კვლევა, რომლის შედეგმა აჩვენა, რომ ასუსტებს ნაბახუსების სიმპტომებს და იცავს ღვიძლის უჯრედებს ტოქსინებისაგან. ექსპერიმენტის მსვლელობისას ისინი შეისწავლიდნენ სატაცურის ყლორტების და ფოთლების შეადგენელ კომპონენტებს, მივიდნენ დასკვნამდე, რომ მათში შემავალი ამინომჟავები და მინერალები იცავენ ღვიძლის უჯრედებს ტოქსინებისაგან და ამცირებენ ალკოჰოლის მოხმარებასთან დაკავშირებულ ჯანგვით სტრესს ღვიძლში.

მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავები ამაღლებენ გლუტათიონის დონეს და ამით ხელს უშლიან ალცჰეიმერის დაავადების განვითარებას და ამასთან ერთად იცავენ ნერვულ ქსოვილებს. გლუტათიონის შემცველობის მიხედვით სატაცური უნიკალურია. გარდა ამისა, სატაცური შეიცავს ფოლის მჟავას, რომელიც ამცირებს დეპრესიის განვითარების რისკს და ამაგრებს ნერვულ სისტემას, ასევე ინდოელი მეცნიერების კვლევის შედეგების თანახმად, იგი ეფექტურად აუმჯობესებს მეხსიერებას.

დიეტოლოგები სატაცურის მოხმარებას ურჩევენ მათ, ვისაც სწრაფი და ეფექტური გახდომა სურთ. სატაცური მიკუთვნება დაბალკალორიულ პროდუქტებს, რომელიც ასტიმულირებს საჭმლის მომნელებელ სისტემას. გარდა იმისა, რომ სატაცური წარმოადგენს ბუნებრივ ციმის დამწვავ საშუალებას, მას აგრეთვე გააჩნია შარდმდენი მოქმედება, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სწრაფ გახდომას.

Asparagus cochinchinensis-ის ექსტრაქტს გააჩნია სიმსივნის საწინააღმდეგო, ანთების საწინააღმდეგო და იმუნოსტიმულირების მოქმედება. მაგრამ ამ მოქმედების ნეტრობიოლოგიური მექანიზმები არასაკმარისად არის შესწავლილი.

სატაცურის სამკურნალო თვისებებს ხალხური მედიცინაც დიდი ხანია გამოიყენებს. მას მოიხმარენ როგორც შარდმდენ საშუალებას, რეკომენდირებულია თირკმლების, გულის დაავადებების, რევმატიზმის და წითელი ქარის დროს.

განხილული მონაცემებიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ დაგეგმილია საქართველოში გაერცელებული სატაცურის ჯიშების პოტენციური თერაპევტული ეფექტების შესწავლა, მათ შორის ანტიიშემიური აქტივობა და ანტიდეპრესიული მოქმედება, მსგავსი კვლევები დღეისათვის მთელ მსოფლიოში აქტუალურია.

ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. <https://agrokavkaz.ge/>
2. <https://www.activestudy.info/xolodostojkost-sparzhi/>
3. <https://www.iamcook.ru/>

Химическая инженерия

ПОЛЕЗНЫЕ СВОЙСТВА СПАРЖИ

Г. ГРГОДЗЕ

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

В статье рассмотрены полезные свойства спаржи лечебной (*Asparagus officinalis*) и потенциальные терапевтические эффекты.

Chemical engineering

USEFUL PROPERTIES OF ASPARAGUS

G. GRGODZE

Akaki Tsereteli State University

Summary

The article discusses the beneficial properties of asparagus (*Asparagus officinalis*) and potential therapeutic effects.

Неорганическая химия

**ПОЛУЧЕНИЕ ОТБЕЛЕННОГО БАРИТА ИЗ ПИРИТСОДЕРЖАЩИХ
БАРИТОВЫХ КОНЦЕНТРАТОВ**

В. РУХАДЗЕ

Государственный Университет Акакия Церетели

Предложена технология получения отбеленного барита из пиритсодержащего баритового концентрата, которая включает термообработку концентрата в кипящем слое в интервале температур 500-550 °C в течение 10 мин, обеспечивающую совмещение термообработки и фракционной классификации с выдачей целевого продукта (фракция -0,4 мм), и отбеливание фракции -0,4 мм диаммониевым фосфатом в условиях кипящего слоя в интервале температур 400-450 °C в течение 10 мин с выдачей целевого продукта с белизной более 80 %.

Технология получения отбеленного барита (микробарита) заключается в термической обработке концентрата в присутствии диаммониевого фосфата, который вводится в шихту для перевода присутствующих в исходном концентрате оксидов железа в фосфорнокислое железо, не ухудшающее качество целевого продукта.

В последнее время баритовом концентрате содержится железо в виде пирита, количество которого меняется в пределах 1-9 %. Поскольку применение диаммония фосфата даже при содержании пирита ниже 1 % не дает положительных результатов операция магнитной сепарации для удаления соединений железа. Однако несмотря на это, не удается получить целевой продукт хорошего качества. Причины этого, очевидно, нужно искать в том, что в используемой для термообработки барита барабанной вращающейся печи при принятом технологическом режиме пирит полностью не выгорает.

Для интенсификации выгорания пирита и повышения выхода целевого продукта с размером зерен —0,4 мм, отвечающего техническим условиям, предложено термообработку исходного концентрата барита проводить в кипящем слое (КС). Результаты исследования основного химического состава барита до и после термообработки во вращающейся печи и в реакторе КС приведены в табл. 1.

Результаты экспериментов (табл. 1 и рис. 1 и 2) свидетельствуют о том, что высокий выход целевого продукта фракции -0,4 мм с минимальным содержанием пирита достигается в интервале температур 500-550 °C, а не в интервале 600-700 °C, при этом продолжительность термообработки сокращается в 4-5 раз, т. е. вместо 40-60 мин процесс реализуется за 7-10 мин.

Важным технологическим преимуществом термообработки барита в кипящем слое является возможность совмещения стадии обжига с фракционной классификацией по размерам частиц с выдачей целевого продукта фракции -0,4 мм. Это достигается за счет зависимости линейного ускорения частиц от их размера и плотности. Результаты расчета ускорения отдельных фракций термообработанного баритового концентрата по методике [2, 3] подтверждает возможность такой классификации. Ускорение фракции —0,4 мм в процессе термообработки заметно отличается от ускорения фракции +0,4 мм, тем более от других более крупных фракций (табл. 2).

Чтобы установить высоту сливного порога на непрерывно действующей установке КС для отделения целевого продукта, реактор по высоте разделяли на 4 зоны (рис. 3) и в пробах из каждой зоны контролировали выход и состав фракций. Полученные данные (табл. 3)

Таблица 1

Компоненты	Состав	Состав обожженной массы	
	исходного барита, %	Термообработка во вращающейся печи в течение 40 мин	Термообработка в реакторе КС в течение 10 мин
BaSO ₄	82,4	84,81	88,6
Fe ₂ O ₃	1,32	2,80	3,92
FeS	3,9	1,5	0,03

Таблица 2

Показатели	Расчетные показатели термообработки барита фракционного состава									
	+10	-10+7	-7+5	-5+2	-2+1	-1+0,4	+0,4	-0,4	-0,44+0,2	-0,2
Плотность, г/см ³	2,10	2,90	3,00	3,3	3,75	3,84	3,1	3,88	4,05	4,07
Выход фракции, %	0,12	1,24	5,86	7,84	2,71	2,23	20,0	80,0	14,55	65,45
Ускорение, м/с ²	116	119	166	260	462	1260	725	2214	2546	4990
Содержание BaSO ₄ %	—	—	—	—	51,5	51,7	47,8	91,6	91,8	92,5

свидетельствуют о том, что 78-80 % целевого продукта, содержащего 94-96 % фракции -0,4 мм, можно отбирать из I-III зоны реактора при подаче теплогазоносителя с объемной скоростью 10- 18 л/мин.




Рис. 1. Выход целевого продукта (B) в зависимости от температуры термообработки




Рис. 2. Выход целевого продукта (B) в зависимости от продолжительности термообработки




Рис. 3. Схема сливного порога для реактора кипящего слоя: а — исходный материал; б — целевой продукт.

Результаты лабораторных исследований подтверждены опытами, проведенными на укрупненной установке (рис. 4) производительностью 2 кг/ч (высота реактора КС 0,7 м, диаметр 0,07 м) на концентрате барита Чордского месторождения, содержащем 4,1 % пирита, 1,32 % Fe_2O_3 , с белизной 46 %. При термообработке в интервале 500-550 °С за 10 мин выход целевого продукта составляет 80 %; с отходящими газами удаляется 5-7 % мелких фракций - 0,2 мм, которые улавливаются циклоном.

На этой же установке опробовали возможность отбеливания барита введением в шихту диаммониевого фосфата с учетом повышенного содержания в исходном барите оксидов железа (см. табл. 1).

Белизна целевого продукта с ростом добавленного в шихту диаммониевого фосфата от 1,2 до 4,8 % увеличивается от 46 до 75 единиц (рис. 5). Однако шихта при этом частично

спекается и выход фракции —0,4 мм уменьшается от 70 до 43 %. Следовательно, в реакторе КС целесообразно совместить только термообработку и фракционную классификацию обожженной массы, отбеливание проводить отдельно.




Рис. 4. Схема укрупненной установки КС для термообработки баритового концентрата: 1 — реактор КС; 2 — электронагреватель; 3 — бункер; 4 — шнек; 5 — компрессор; 6 — ротаметр; 7 — циклон; 8 — вентилятор; 9 — реостат (ЭРНО); 10 — потенциометр ПСР 1—4; 11 — термопара.




Рис. 5. Влияние добавленного количества диаммониевого фосфата С на выход В (1) фракции —04 и белизну В (2) отбеленного барита.

Таблица 3

Скорость дутья, л/мин	Фракции	Состав [% (масс.)] термообработанного (t=550°C τ=10 мин) барита, взятого из зоны отбор									
		Опыт 1		Опыт 2			Опыт 3		Опыт 4		
		I	II-IV	I-II	III-IV	II-III	IV	I	II	III	IV
6	Выход, %	20,0	77,1	49,0	50,71	71,7	27,9	23,7	20,21	22,64	32,1
	Фракция, %										
	-0,4	96,7	75,44	96,88	64,6	94,8	82,6	97,92	95,73	82,9	53,14
	+0,4	3,3	24,46	3,12	35,4	5,2	17,14	2,08	4,27	17,1	46,86
10	Выход, %	34,6	65,4	53,8	43,9	79,8	18,2	35,06	24,16	19,76	22,2
	Фракция, %										
	-0,4	95,23	71,94	96,2	41,2	93,99	7,4	95,52	97,3	97,4	5,6
	+0,4	4,77	28,06	3,8	58,8	6,01	92,6	4,5	2,7	2,6	94,2
14	Выход, %	28,64	70,7,2	47,4	42,9	78,4	19,8	27,43	20,74	30,22	20,5
	Фракция, %										
	-0,4	94,86	73,87	96,9	41	94,9	6,8	97,1	96,86	%,66	7,3
	+0,4	5,14	26,13	3,1	59	5,1	93,2	2,9	3,14	3,34	91,8
18	Выход, %	23,08	73,06	46,3	53,28	77,5	22,8	28,6	24,3	25,17	25,4
	Фракция, %										
	-0,4	95,54	70,25	96,33	61,25	92,48	9,13	96,%	94,87	%,61	9,13
	+0,4	4,46	29,75	3,67	38,75	7,52	90,57	3,04	5,13	3,39	90,57

Отбеливание фракции -0,4 мм на укрупненной установке (рис. 5) в интервале температур 400-450 °С в присутствии 0,8% диаммониевого фосфата обеспечивает получение целевого продукта.

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. А. С. 1346650 (СССР).
2. Расчет аппаратов кипящего слоя. Л.: Химия, 1986.
3. Гюльперин Н. И. и др. Основы техники псевдоожижения. М.: Химия, 1967.

არაორგანული ქიმია

**გათეთრებული ბარიტის მიღება პირიტის შემცველი
ბარიტული კონცენტრატიდან**

ვ. რუხაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რეზიუმე

დადგენილია, რომ მდუღარე შრის დანადგარზე შესაძლებელია გაერთიანდეს ჩორდის ბარიტის: შრობის, დეკრიპიტაციის და ფრაქციული დაყოფის პროცესები. ამავე დროს მიმდინარეობს პირიტის სრული გამოწვა, რაც აადვილებს შემდეგ ეტაპზე მისი მოცილების და გათეთრების პროცესს დიამონოფოსფატის გამოყენებით. მიღებული ბარიტის სითეთრეა 80 პ.ეთ., ხოლო აშ 4 შემცველობა $\approx 90\%$

Inorganic chemistry

**PREPARATION OF BLEACHED BARITE FROM PYRITE-CONTAINING
BARITE CONCENTRATES**

V. RUKHADZE

Akaki Tsereteli State University

Summary

Proposed is a technology for producing bleached barite from a pyrite-containing barite concentrate, which involves heat treatment of the concentrate in a boiling bed in the temperature range 500-550 ° C for 10 minutes.

Combination of heat treatment and fractional classification with output of the target product (fraction -0.4 mm), and bleaching of the fraction -0.4 mm with diammonium phosphate under boiling bed conditions within the temperature range 400-450 ° C during 10 minutes with output of the target product with whiteness more than 80%.

კომპოზიტები

**შეფასებული პოლისტიროლური კომპოზიციების
ხანზამდროობა და ფიზიკო-მექანიკური თვისებები**

ნ. ხელაძე, ა. ბეჟაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია წვრილდისპერსული მინერალური შემავსებლებით შევსებული პოლისტიროლური კომპოზიციების ფიზიკური და მექანიკური, დეფორმაციული და საექსპლუატაციო თვისებები.

თერმოპლასტებში მაღალ დისპერსული შემავსებლების შეყვანისას მათი მცირე შემცველობის (10-20% მასით) დროსაც კი შემავსებლის ნაწილაკებს შორის წარმოიქმნება თხელი შუაფენა პოლიმერისაგან. დადგენილია, რომ ამ დროს შემავსებლის ნაწილაკის ირგვლივ წარმოიქმნება პოლიმერის უძრავი გარსი, რომელიც სიდიდის რიგის მიხედვით თანაბარზომიერია პოლიმერის ნაწილაკის შუაფენის მთელი სისქის. კომპოზიციებში, რომლებიც შეიცავენ მაღალგანვითარებული ზედაპირის მქონე შემავსებელს 20%-ის რაოდენობით, შესაძლებელია ერთიანი უძრავი შუაფენის წარმოქმნა შემავსებლის მეზობელ ნაწილაკებს შორის. ეს იწვევს ეფექტური სიბლანტის მკვეთრ ზრდას და ტექნოლოგიური თვისებების გაუმჯობესებას.

შეფასებული სისტემების ნაწილაკების ეფექტური სიბლანტის ტემპერატურაზე დამოკიდებულების სისტემა გვიჩვენებს, რომ მაღალდისპერსული შემავსებლის გარკვეული რაოდენობის შემცველი სისტემის ბლანტი დენადობის აქტივაციის მოხვედრით ენერჯის სიდიდე (საკმარისად მოძრავი შუაშრის არსებობის შემთხვევაში) ტოლია შეუფასებელი პოლიმერის დენადობის აქტივაციის ენერჯის. შემავსებლის მეზობელ ნაწილაკებს შორის საერთო უძრავი შუაშრის წარმოქმნის პირობებში აქტივაციის მოხვედრითი ენერჯის სიდიდე მკვეთრად იზრდება. სისტემა ამჟღავნებს ბლანტი თვისებების მკვეთრად გამოსატულ ანომალიას. შემავსებლის ნაწილაკებს შორის პოლიმერისაგან საერთო უძრავი შუაშრის წარმოქმნა განაპირობებს, რომ დენადობის დროს მჟღავნდება სრიალის მოვლენა. დენადობის სიჩქარის გადიდებისას სისტემაში წარმოქმნილი ბმები ვერ ასწრებენ რღვევას. სისტემა სულ უფრო მეტად კარგავს მოცულობითი (ძვრადი) დენადობის უნარს და სულ უფრო მეტად მჟღავნდება კაპილარის ზედაპირის მიმართ სრიალი. ძვრის დაძაბულობის გარკვეული კრიტიკული მნიშვნელობის დროს სისტემის დენადობის რეჟიმი მოცულობითიდან გადადის სუფთა საცობისებურ დენადობად. ამრიგად 10-20% მაღალდისპერსული შემავსებლის შემცველი კომპოზიციებიდან ნაკეთობების ფორმირება გართულებული ხდება [1, 2].

მაღალშეფასებული სისტემების შექმნისას აუცილებელია მივიღოთ ზომები მასალების წნევის ქვეშ ჩამოსხმის და ექსტრუზიის მეთოდებით გადამუშავების უნარის შესანარჩუნებლად.

პრაქტიკულად პოლიმერის ნაღობში შეყვანილი შემავსებლის ნაწილაკები იმყოფებიან აგრეგირებულ მდგომარეობაში, მათი აგრეგაციის ხარისხი განისაზღვრება მასალების დაფქვის პირობებით ან სინთეზის პირობებით, რაც გავლენას ახდენს წარმოქმნილი აგრეგატების ზომებზე, ზედაპირის ბუნებაზე და სიმტკიცეზე.

პოლიმერული მასალის შევსების პროცესი წარმოადგენს პოლიმერულ მატრიცაში შემავსებლის განაწილების ან დისპერგირების პროცესს. დისპერგირებადობა არის შემავსებელი ნივთიერების ნაწილაკების უნარი დაქუცმაცდეს უფრო მცირე ზომის აგრეგატებად ან პირველად ნაწილაკებთან მექანიკური დაძაბულობების მოქმედებით. დისპერგირების დროს შემავსებლის ყველა ნაწილაკი რომ თანაბრად ნაწილდებოდეს არის მასაში პირველადი ნაწილაკების სახით, მაშინ ძნელი არ იქნებოდა თანაბრად შევსებული სისტემების მიღება. მაგრამ, როგორც წესი, შემავსებლის ნაწილაკების აგრეგატები სრულად არ დისპერგირდებიან ძვრის მაღალი დაძაბულობების დროსაც კი. კომპოზიციებში შემავსებლის ნაწილაკების ზომები განისაზღვრება დისპერგირების პროცესის ჩატარების ექტურობით. ნაწილაკების საბოლოო ზომები ანუ შემავსებლის დისპერსულობა განსაზღვრავს ნაკეთობების ძირითად თვისებებს. დისპერგირების ეფექტურობა დიდ გავლენას ახდენს აგრეთვე კომპოზიციების რეცეპტურების შედგენაზე, რადგანაც მოცემული რეცეპტურის დროს სტაბილური ფიზიკურ-მექანიკური თვისებები უზრუნველყოფილია მხოლოდ მაშინ, როცა შემავსებლის ნაწილაკები მაქსიმალურად დისპერგირებულია ანუ მაქსიმალურად მიახლოებულია პირველადი ნაწილაკების ზომებთან.

რადგან ნაწილაკების აგრეგატები ენერგეტიკული თვალსაზრისით წარმოადგენენ ოპტიმალურ ფორმას შემავსებლის მიღების სტადიაზე წარმოქმნილ პირველად ნაწილაკებთან შედარებით, ამიტომ შებრუნებული პროცესისათვის ანუ აგრეგატების დასაშლელად პირველად ნაწილაკებამდე საჭიროა გარკვეული მუშაობის დახარჯვა. ეს მუშაობა მით უფრო მეტია რაც უფრო მცირე ზომისაა პირველადი ნაწილაკები (ე.ი. რაც უფრო მტკიცე და სტაბილურია აგრეგატები, რომლებიც წარმოიქმნა დიდი ზედაპირული ენერჯის სისტემაში).


შემავსებლის დისპერგირებისას ნებისმიერ არეში ადგილი აქვს ორ ერთდროულად მიმდინარე პროცესს: შემავსებლის ზედაპირის დასველება თხევადი არით და თვითონ დისპერგირების პროცესი ანუ აგრეგატების დაშლა მექანიკური ძალის მოქმედებით. პოლიმერების შევსებისას მათი მაკრომოლეკულური სტრუქტურის გამო დიდ როლს ასრულებს ძვრის მაღალი დაძაბულობების მოქმედება, რომელიც აღიძვრება მაღალი სიბლანტის არეში დისპერგირების დროს. ამიტომ აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს შემავსებლის ზედაპირის ხასიათი და შესავსები პოლიმერის თვისებები [3].

თერმოპლასტიკების მოდიფიცირება მათში მინერალური დისპერსული შემავსებლების შეყვანის გზით ფართოდ გამოიყენება წინასწარგამიზნული თვისებების მქონე მასალების მისაღებად. ამიტომ დიდ მნიშვნელობას იძენს შემავსებლის გავლენის შესწავლა კომპოზიციური მასალების მექანიკურ და დეფორმაციულ მახასიათებლებს. ეს მაჩვენებლები განისაზღვრება შემავსებლის ბუნებით, შემცველობით, გრანულომეტრული შედგენილობით, ასევე პოლიმერული მატრიცის სტრუქტურით.


მრავალი მკვლევარი თვლის, რომ შემავსებლების უმნიშვნელოვანეს ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს, რომლებიც განსაზღვრავენ შევსებული პოლიმერების მახასიათებლებს, წარმოადგენს ნაწილაკების ზომები, ფორმა, ქიმიური შედგენილობა და ზედაპირის ბუნება. მაგრამ, მკვლევარების აზრი პოლიმერების გაძლიერების

პროცესში ამ ძირითადი თვისებების როლის შესახებ, განსხვავებულია. პოლიმერების მაღალდისპერსული შემავსებლები, როგორც წესი, უფრო აქტიური არიან უხეშდისპერსულთან შედარებით. მაგრამ კვლევების დროს აუცილებელია შევსებულ სისტემებში შემავსებლების დისპერსულობის კონტროლი. შემავსებლის ნაწილაკების ფორმის პოლიმერების თვისებებზე გავლენის მიმართებაში ერთიანი შეხედულება არ არსებობს. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ყველაზე მაღალი გამაძლიერებელი მოქმედება ახასიათებს სფეროსებური ფორმის ნაწილაკებს. არსებობს აგრეთვე მოსაზრება, რომ შემავსებლის გამაძლიერებელი მოქმედება მცირდება სფერული ფორმიდან გადახრის პროპორციულად. ამრიგად, არსებული მონაცემები არ გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ ზოგადი (ერთიანი) ხასიათის დასკვნა შემავსებლის თვისებების გავლენის შესახებ პოლიმერული კომპოზიციური მასალების თვისებებზე.


